სამშაბათი, 1917 წ. ენკენისთვის 19 (2) № 205

წელიწადი მესამე

სამშაბათი, 1917 წ. ენკენისთვის 19 (2) № 205

ფასი 15 კ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის** ვინაობა და მისამართი. **უპირობოთ** გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. **მისამართის გამოცვლა** ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი **ფული და წერილები**, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. **საჩქარო განცხადებანი** უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. **კონტორა ღიაა** დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა **15--73**

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

ალექსანდრეს თეატრს, სადაც დემოკრატიული თათბირი სწარმოებს ჯარი იცავს.

მინისტრი ზარუდინი მოითხოვს, რომ წინასწარ პარლამენტში კადეტებიც მონაწილეობდნენ.

მინისტრ პეშეხონოვს კოალიცია უკადეტებოდ შეუძლებლად მიაჩნია.

თათბირის ეროვნულ-სოციალისტური სექცია დაუყოვნებლივ ფედერატიულ რესპუბლიკის შემოღების წინააღმდეგია.

ტაშკენტში ჯარისკაცთა დიქტატურა გამოცხადდა. კერენსკიმ მათ ულტიმატუმი წაუყენა და ჯარი გაგზავნა.

ფინლიანდიაში სეიმის დაბეჭდილი კარებები გახსნეს და სხდომა დაიწყეს.

ტავასტგუსის გუბერნატორმა რუსის ჯარისათვის თივის რეკვიზიციაზე უარი განაცხადა.

ბოლგარეთმა პაპის ნოტაზე პასუხი გასცა. მოითხოვს ზღვების თავისუფლებას.

გერმანეთი საზამთრო ბრძოლისათვის ემზადება.

წერილები

ზ. ვ.—კავკასიის გადამიჯვნა და ერობა.

ვასილ წერეთელი—საეკლესიო კრების შედეგი.

რ. **ინგილო**—საქართველოს ეკლესიის ახლობელი მიზანი.

გ. **იოსელიანის** მილოცვა კათალიკოზ კირიონს.

ნ. **დურნოვოს** წერილი მიტროპოლიტ ლეონიდეს.

ს. **ქურდიანი**— საქართველოს ტყეები და მათი მომავალი.

კორესპონდენცია ქართლიდან.

საქართველოს კათალიკოზის არჩევა.

საერობო რეფორმა კავკასიაში.

გაზეთ „საქართველოს“

კონტორისაგან

რადგანაც დღითი-დღე სიძვირე მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ,

გაზეთის თითო ნომერი ღირს 15 კაპ.

წლიური ხელის მომწერლებმა ხელის მოწერის ფასი უნდა შეასრულონ 21 მანეთამდე, რომელიც უნდა გადახდილ იყოს 15 სექტემბრამდე. ვინც ამ ხნის განმავლობაში ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა მოესპობა. 1 ენკენისთვიდან გაზეთის ფასი იქნება თვეში 3 მან.

ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ვთხოვთ ფულის გამოგზავნის დროს ბანდეროლის ნომრის აღნიშვნას.

ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

იყიდება

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სავაჭრო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებით ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4. თ—766—3

1917 წ. ჩვენი ქვეყანა 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 2 მანეთი. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდე.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდე.

რედაქტორი დ. კვირკველია.

ქ. სამტრედიაში გაიხსნა

კლასიკური გიმნაზია

ორივე სქესისათვის

მე-5—6 კლასის შემადგენლობით. მე 6 კლასი გაიხსნება, თუ შესაფერი კომპლექტი (20 მოწ.) შედგება. გიმნაზიაში შესასვლელი თხოვნები მიიღება ყოველ დღე სამტრედიის უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებელში. მე-5 კლასში მიიღებიან უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლებში კურს დამთავრებულები უეგზამენოთ. მე-6-ში მიიღებიან მოსწავლენი ყველა გიმნაზიებიდან, როგორც საქალებო ისე სავაჟოებიდან. ამასთანავე საჭიროა გიმნაზიის გამგე და მასწავლებლები: მათემატიკოსი, ბუნების მეტყველი, ფილოლოგი და უცხო ენების (ფრანგული და ნემეცური). თხოვნები მიიღება 25 ენკენისთვემდის. საჭიროა შემდეგი დოკუმენტები: 1) განათლების ცნობა, 2) „curricueum vitae,“ 3) სარეკომენდაციო ქაღალდი პროფესიონალურ კავშირიდგან და პედაგოგიურ საბჭოდგან. მეცადინეობა დაიწყება 2 ოქტომბრიდგან. მისამართი: Гор. Самтреди, Предсѣдателю школьнаго Комитета Вл. Ѳ. Папава. საჭიროა აგრეთვე უმ. პ. დაწყებ. სასწავლებლისათვის მასწავლებლები.

3—768—3 სამტრედიის სასკოლო კომიტეტი

თელავის გიმნაზიასთან არსებული

მშობელთა კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ თელავის გიმნაზიაში ამ ენკენისთვის 20-ს

გაიხსნა VII კლასი

მისაღები გამოცდები იწყება ენკენისთვის ოციდან.

მშობელთა კომიტეტი.
1—793—1

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს ხად. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).
20—748—თ.

სამკურნალო კაბინეტი

პ. ს.

ფონ-ირტელისა

ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო (წამლობა ჭრილობების, სიმსივნეთა, სუსუნატის, ათაშანგის, საშარდე მილების და თირკმელების) წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914“-ით და „606“-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილისით და 4½—8 საღამოთი. მიხაილოვის პროსპექტის კუთხე № 28, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით.

თბილისის ნოტარიუსის

გ. ლ. მაჭავარიანის

კონტორაში

გაყვანილია ტელეფონი.

ტელეფონის № 3—96.

3—789—3

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს ხელოსტაქრო ავადმყოფებს საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ორბელიანთა [illegible] საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი [illegible]. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 41
თ—719—17

ექიმი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—22)

„საქართვ.“ რედაქციისთვის

საჭიროა მოხამსახურედ

ახალგაზდა ქალიშვილი

რუსულ-ქართულ წერა-კითხვის კარგად მცოდნე.

პირობების გაგება შეიძლება „საქართველოს“ კანტორაში (მოსკოვის ქუჩა № 4) დილის 10 საათიდან 3 საათამდის.

ექიმი

გ. ი. მაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

კავკასიის გადამიჯვნა და ერობა

რუსეთში არც ერთი მხარე აღარ დარჩენილა გარდა კავკასიისა და საქართველოსა, რომ ერობა არ იყოს შემოღებული.

რევოლუციურმა მთავრობამ თვით ყირგიზეთსაც კი მიანიჭა საერობო თვითმართველობის უფლება.

მხოლოდ ქართული სოფელია მიტოვებული ღვთის ანაბარად—მერმე? —მხოლოდ მიტომ, რომ საშინაო საქმეთა სამინისტრო „დაშნაკცუტუნს“ აჰყოლია და გარდაუწყვეტია, ერობა მხოლოდ მაშინ შემოიღოს, როცა გუბერნიების ახალი გადამიჯვნა მოხდება და სომხებსაც თავიანთი ეროვნული ტერიტორია მიეზომებათ!..

მაგრამ გადამიჯვნა რომ ერთი მხარის სურვილით არ შეიძლება,—უნდა მეზობელსაც მოურიგდე!—სომხების მეზობელი თათრები კი გადაჭრით წინააღმდეგნი არიან სომხებისათვის სამხრეთი კავკასიის საგუბერნიო და სამაზრო გადამიჯვნისა.

ამიერ-კავკასიის კომიტეტმა საშინაო სამინისტროსაგან მოსულ გეგმის განსახილველად განსაკუთრებული ქართულ-სომხურ-თათრული კომისიაც კი შეჰქმნა თბილისში, მაგრამ კომისიამ ვერავითარი შეთანხმება ვერ მოახდინა გადამიჯვნის საქმეში.

ჩვენ არ ვიცით, შეიკრიბება თუ არა ამის შემდეგ ის სათოლქო ყრილობა, რომელსაც უნდა დაედასტურებია კომისიისგან შედგენილი გეგმა—მხოლოდ ის კი ცხადია, რომ თუ ერობის შემოღების საკითხი კვლავინდებურად გადამიჯვნის საქმესთან იქნა გადაბმული, ჩვენ ვერც ექვსი წლის განმავლობაში ვეღირსებით ერობას!

საქართველოს სოფელს მეტი ცდა აღარ შეუძლია—საჭიროა დაუყოვნებლივი შემოღება საერობო თვითმართველობისა, თუნდაც განცხადებითი წესით!

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო ვალდებულია საჩქაროდ დააყენოს ეს საკითხი და თუ მას გაუძნელდება მისი გარდაწყვეტა, დაე მაშინ ეს კითხვაც იმ ქართულ ეროვნულ კრებას გადაეცეს, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა იქნას მოწვეული თანახმად საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებისა.

საერობო რეფორმის დაუყოვნებლივ განხორციელებაში ყველა ქართული პარტიები ერთის აზრის არიან,—„თვით ხალხი გამონახავს შესაფერ გზას თავის სურვილის განსახორციელებლად,“ სწერს ერობის შესახებ ბ. თევზაია გაზეთ „ერთობაში“... ღონეაც!..

ზ. ვ.

საეკლესიო კრების შედეგი

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის დამწესებელ კრებას, რომელმაც ამ თვის 8 დღეს დაიწყო მუშაობა და 17-ს დასრულდა, მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს.

ჯერ ერთი, ეს კრება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეის ნაწილობრივი განხორციელებაა. სარწმუნოებრივი საქმეების მოწესრიგებაში ჩვენი თავის პატრონნი ჩვენვე ვართ, აი რას მეტყველებს იგი. მაშასადამე ავტოკეფალური კრება—პოლიტიკური აქტია, ასე უყურებენ მას რუსეთში და ასე შეხედავენ ევროპაშიაც.

იმავე დროს ავტოკეფალიის განხორციელებას უდიდესი მოქალაქეობრივი და კულტურული მნიშვნელობაც აქვს.

დღეიდან ერი თვითონ აირჩევს თავის მოძღვრებსა და მაშასადამე, თვითონ მოაწესრიგებს თავის სარწმუნოებრივსა და კულტურულ საქმეებს.

უკვე ჩაილურის წყალს გაჰყვა ზნეობისა და გონების განმანადგურებელი გამრუსებელი პოლიტიკა სკოლასა და ცხოვრებაში.

დღეიდან ჩვენ გვექნება ქართული სალვთისმეტყველო სასწავლებლები და ქართული ქადაგება და მკვდრეთით აღსდგება კეთილხმოვანი ქართული გალობა.

მაშასადამე, ახალი თაობანი კვლავ ილაპარაკებენ ქართული ენით. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“, სთქვა პოეტმა. ის ერი, რომელსაც თავისი ენა დაუვიწყნია, სხვისი კი ვერ შეუთვისებია, სულიერი გადაგვარების ქმნადობას განიცდის. დღეიდან კი ჩვენი დედაენის განვითარება ნორმალურ პირობებში მოხდება და მომავალ თაობათა სულიერად ამაღლებას სარჩულად დაედება.

და უეჭველია, რომ ავტოკეფალიას უპირველესად თვით სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მხრისათვის ექნება უზომო მნიშვნელობა.

ქართველი ერი—მორწმუნეთა ერია. და, თუ მისი სარწმუნოებრივი მოთხოვნილება მოწესრიგებული არ იქნება, ათასგვარი ცრუმორწმუნეობა ამოლაცდება, გაჩნდებიან [illegible], სექტები და გაჩაღდება შინაური სარწმუნოებრივი ბრძოლა.

ეს-და გვაკლია!

მეორე მხრით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ქართველთა სარწმუნოებრივი სინიდისის ტყვეობიდან განთავისუფლებაა.

აღსანიშნავია იმავე დროს, რომ კრების მიერ შედგენილი საეკლესიო სტატუტი საქართველოს ეკლესიისა დემოკრატიულ საფუძველზეა დამყარებული და, საზოგადოდ, დემოკრატიული მიდრეკილება სამღვდელოებისა ისეთივე ძლიერი და შეუპოვარი აღმოჩნდა, როგორიც არის ამგვარივე მიდრეკილება ქართველი ერისა.

ცხოვრებას თავისი კანონი აქვს და ბუნებრივ საზოგადოებრივ წინსვლას ვერაფერი ვერ წინააღუდგება.

და ამ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ აქტს თანაგრძნობით უნდა ეგებებოდეს ყველა ქართველი განურჩევლად პოლიტიკური რწმენისა და სარწმუნოებრივი განსხვავებისა.

ვასილ წერეთელი.

საქართველოს ეკლესიის უახლოესი მიზანი

ჩვენი სარწმუნოებრივი თვითგამორკვევის საძირკველი, ყველა ქართველისათვის დაუვიწყარ 12 მარტს ჩაყრილი, დაგვირგვინდა შესანიშნავ აქტით, რომელმაც ეგზომ ხნის დაქვრივებულ მართლმადიდებელ ეკლესიას აღუდგინა კანონიერი თავი—სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი.

ამ პირველხარისხოვან საეკლესიო-სამოქალაქო აქტის მნიშვნელობა დღევანდელ რთულ პოლიტიკურ ვითარებამ ცოტა არ იყოს დაჩრდილა: საზოგადოების ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებული გარემოებანი ფრონტზე და რუსეთის სახელმწიფოს საერთო კრიტიკული მდგომარეობა!

მიუხედავად ამისა, 17 სექტემბერი ოქროს ასოებით აღიბეჭდება ჩვენი მრავალ ტანჯულ ეკლესიის ისტორიაში! ეს დღე განაგრძობს საქართველოს დამოუკიდებელ ეკლესიის მსვლელობას, ამ დღეს ფაქტიურად განხორციელდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური წყობილება და ამიერიდგან იგი არსებობს თვის სულიერი მეუფის უზენაეს მართველობის ქვეშ.

საქართველოს საეკლესიო კრებას დიდი მოვალეობა აწევდა, რომლის სათანადო შესრულებით მან გაამართლა

თვისი დანიშნულება და ხელი შეუწყო ივერიის ეკლესიის აღორძინების საქმეს. კრებამ კათალიკოს-პატრიარქის არჩევით არ შემოფარგლა თვისი მოღვაწეობა: მან ფართო მაშტაბით იხელმძღვანელა და საეკლესიო წყობილების ყველა მხარეს მიაქცია ყურადღება; ამ მხრივ ღირს შესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს საეკლესიო სტატუტის შემუშავება, რომელიც საფუძვლად დაედება ჩვენი ეკლესიის ცხოვრებას და მიანიჭებს მას ნამდვილ ეროვნულ დამოუკიდებელ ეკლესიის სახეს! კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ აღდგენილიყოს ძველი საეპისკოპოსო კათედრები შეძლებისა და საჭიროების მიხედვით, ხოლო ზოგიერთ მეტად მნიშვნელოვან ეპარქიების შესახებ, როგორც მაგალითად შესანიშნავი ქუთაისის, დაადგინა დაუყოვნებლივ გახსნა. აგრეთვე დაწვრილებით შემუშავდა საეკლესიო წეს-წყობილების გარეგანი გამოსახულობა და ამ საგანზე მსჯელობით და დადგენილებებით კრებამ ნათელ ჰყო, რომ ჩვენი სასულიერო წოდება თანამედროვე ცხოვრების თვალსაზრისზე სდგას და უფრო უყურებს რელიგიის ღრმა დოგმატიურ მხარეს, ვიდრე ისტორიულად შექმნილ საეკლესიო ადათებს და საზოგადოთ საეკლესიო რიტუალს. მართლმადიდებელ ეკლესიის ლიტურგიულ სფეროსაც მიაპყრო კრებამ ჯეროვანი ყურადღება და რეზოლუციაში გამოსთქვა სურვილი ლიტურღიის და საზოგადოთ ღვთის-მსახურების წესების განმარტებისა...

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საეკლესიო კრებამ დიდი ისტორიული ღვაწლი დასდო ჩვენს ეკლესიას: კრების მოღვაწეობაში აშკარად გამოსჭვივის მისი განუსაზღვრელი სიყვარული ძველის ივერიის ეკლესიისადმი და შეურყეველი რწმენა, რომ სამუდამოთ განვლო საშინელ მონობის ხანამ და იწყება ახალი—განახლების და აღორძინების დრო.

შესანიშნავი და ისტორიული შედეგებით აღსავსე აქტი შესრულდა: ეკლესიამ გარკვეულად გამოსთქვა ქართველი ერის სულის-კვეთა და ამცნო ქვეყანას ჩვენი სარწმუნოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებანი და საშუალებანი მის გასაგებათ და, მაშასადამე, დასაკმაყოფილებლად.

ამას ანგარიში უნდა გაუწიოს რუსეთის ცენტრალმა მართველობამ და უარჰყოს ის შეზღუდვანი და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შემაფერხებელი აქტები, რომელიც მან გამოსცა სინოდის შთაგონებით.

ამ ნაბიჯს ელის ჩვენი ეკლესია და მასთან მთელი ქართველი ხალხი! საქართველოს ეკლესიას უციმობლივ უნდა მიეცეს მისი ისტორიული სახე და მხოლოდ მაშინ ითქმის, რომ ეკლესიამ მოიპოვა ავტოკეფალობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველები იძულებულნი იქმნებიან დღევანდელი მდგომარეობა შეიწყნარონ, როგორც ეტაპი საქართველოს ეკლესიის სრული თავისუფლებისა. ჩვენი ეკლესია იმ თავიდანვე ტერიტორიალურ პრინციპზე იყო აგებული, და დასახულ საზღვრებში სცდილა სრულიად საქართველოს ქათალიკოზის უზენაესი ხელმწიფება.

ქართველმა ხალხმა სწორედ ეს პრინციპი აღიარა ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობის დამახასიათებელ თვისებათ, მაგრამ სინოდის აგენტებმა ამ საკითხის გადაჭრაში ისეთი შეურიგებლობა გამოიჩინეს, რომ ჩვენი ეკლესია დროებით უნდა გამოსთხოვებოდა თვის დამოუკიდებლობის ერთ-ერთ აუცილებელ თვისებას. ვსთქვით დროებით, რადგანაც ტერიტორიალურ პრინციპის აღიარება ჩვენი ეკლესიის უახლოეს მიზანს შეადგენს და მის განხორციელებლად ქართველი ერი მიმართავს შესაფერ ზომებს.

მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში ჩვენი ენერგია ტყუილ-უბრალოდ არ დაიხარჯება და რუსეთის დემოკრატიული მთავრობა თვით შეეცდება აღადგინოს შელახული სამართლიანობა.

რ. ინგილო.

მილოცვა საქართველოს კათალიკოზს

(სიტყვა თქმული სიონში კათალიკოზის არჩევის შემდეგ)

ქვეყანა ჩვენი ხვედრია ყ. დ. წმ. ღვთისმშობლისა, საფუძველი ივერიის ეკლესიისა ჩასდვა თვით ქრისტეს მოწაფემ ანდრია პირველ წოდებულმ; აღაგო იგი მოციქულთა სწორმა წმ. ნინომ, დაამთავრეს ათცამეტმა სირიელმა მამებმა; ავტოკეფალობა მისი აღიარებულ და მიღებულ იყო მე-V-ე საუკუნეში, როდესაც რუსეთში ქრისტიანობის ხსენებაც კი არ ყოფილა.

მაშ ვის უნდა გაებედნა შეხებოდა ჩვენი ეკლესიის შერყევასა და დამოუკიდებლობას?—მაინც კიდე რუსეთის უსამართლო მთავრობამ და სინოდმა არ დაინდეს იგი და გაბედეს მისი დამცირება და ავტოკეფალობის მოსპობა. მაგრამ საკვირველი არიან საქმენი შენი, უფალო! თვით მათ მოევლინათ რისხვა ღვთისა: დაემხო მოულოდნელად რუსეთის იმპერატორთა ტახტი და თან შეიმუსრა ძლიერება სინოდისა.

აღსდგა ეკლესია ჩვენი და განიბნენ მტერნი მისნი. აღსდგა და განახლდა ტახტი საქართველოს პატრიარქ-კათალიკოზისა. ხოლო ახლად აღდგენილ ტახტსა ზედა მოგიწოდა შენ, უუწმიდესო მწყემს-მთავარო, ქართველმა ერმა. გიხაროდენ, უფალი შენთან არს. იყავ დღეგრძელი და უწინამძღვრე ღირსეულად საწყსოსა შენსა.

ხოლო მე, უღირსი მცხოვანი მონა ღვთისა, მომსწრე ამ ბედნიერებისა, ვღაღადებ: აწ განუტევე, მეუფეო, მონა შენი. ვისწრაფი საფლავსა შინა, რათა ვახარო, კურთხევითა შენითა, საქართველოისა და მისი ეკლესიის აღდგენა სასიქადულო მამულიშვილებს, რომლებიც იღვწოდნენ მისთვის და მოუთმენლად ელოდნენ ამ ბედნიერ დროს, მხოლოდ ვერ მოესწრნენ, მაგრამ, თუ კი გვრწამს უკვდავება სულისა, ისიც უნდა ვიწამოთ, რომ აჩრდილნი მათი, იქნება, ეხლა თავს დაგვტრიალებენ ამ დიდებულ ტაძარში და ჩვენთან ერთად განიცდიან მხიარულებას.

გ. იოსელიანი.

ქართული პრესა

ეროვნული კრება

სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთი „სახალხო საქმე" გამოეხმაურა „საქართველოს" წინადადებას ეროვნულ კრების მოწვევის შესახებ. გაზეთი ამბობს, რომ:

> ეროვნულ საბჭოზე შეჩერება არ შეიძლება. ეს პირველი ნაბიჯია, ანია, რომელსაც ბანიც უნდა მოჰყვეს.
>
> ერთი რამ ცხადია დღეს: საჭირო საბოლოო შეთანხმება და საერთო საპოლიტიკო პლატფორმის შემუშავება ჩვენში მომქმედ ჯგუფებისა. ეს კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ ეროვნულ ყრილობის საშუალებით. ამიტომ უპირველესი ჩვენი საზრუნავთაგანი, სხვათა შორის უნდა იყვეს სწორედ ამ ყრილობის მოწვევა, რომელიც უზენაესი გამომხატველი იქნება საქართველოს ნებისყოფისა. მხოლოდ ამ გზით შევხვდებით დამფუძნებელ კრებას შესაფერისად მომზადებულნი და ოდნავ მაინც დავემსგავსებით იმ ერებს, რომელნიც უკვე მკვიდრ გზას დასდგომიან და თავიანთ პოლიტიკურ იდეალის განხორციელებას უკვე შესდგომიან, მაგალითად უკრაინას. მაგრამ ჩვენი მდგომარეობა ცოტა სხვანაირია. ჩვენთვის არ კმარა შინაური შეთანხმება, ჩვენთვის საჭირო კავკასიაში საერთაშორისო შეთანხმება და თუ მოსახერხებელია, შეთანხმება რუსეთში მოსახლე ყველა ჩაგრულ ერებთან, რათა დამფუძნებელ კრებაზე საერთო ძალღონით მოვითხოვოთ ჩვენი უფლების აღდგენა და განხორციელება.
>
> ჩვენის აზრით უკვე დრო არის ეს საქმე პრაქტიკულ ნიადაგზე დავაყენოთ: ეროვნულმა საბჭომ განსაკუთრებული კომისია უნდა შეადგინოს ამ საქმისთვის საჭირო ზომების მისაღებად.

ომი და ზავი

დეპეშები

რუსეთის ფრონტი

პეტროგრადი. ენკენისთვის 17. ოფიციალი. **ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთ დასავლეთის და რუმინეთის ფრონტები.** სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

კავკასიის ფრონტი. ღირსშესანიშნავი არა არის რა.

ბალტიის ზღვა. ნაღმოსან „ოხოტნიკ"-ზე მხოლოდ 43 კაცი გადარჩენილა. დანარჩენი ოფიცრები და კომანდის შემადგენლობა თავის ნებით დარჩნენ გემზე და დაიღუპნენ.

მფრინავთა მოქმედება. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა მფრინავებმა მტრის სხვა და სხვა ადგილებში 10 ფუთამდე ყუმბარა ჩაყარეს. „მურომცებმა" 50 ფუთამდე ყუმბარა მოიხმარეს. სოფელ ელიზონოვკასთან, გრემიალოვის რაიონში, ერთ ჩვენ „მურომეც"-თაგანმა მტრის მფრინავი ჩამოაგდო.

საფრანგეთის ფრონტი.

პარიზი. ენკენისთვის 14. არბ-დესერნის სამხრეთით ენკენისთვის 14-ს გერმანელებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ ფრანგების ცეცხლმა აიძულა უკან დაეხიათ და თავიანთი თხრილები დაეჭირათ. კაზემატისა და კალიფორნიის ზეგანთა შორის გერმანელებმა მეორე იერიში სცადეს, მაგრამ ამაოდ. ფრანგებმა მაასის მარჯვენა მხარეზე ბემონის რაიონში და აგრეთვე ელზასში ლინჯის რაიონში გერმანელთა იერიშები მოიგერიეს.

იტალეთის ფრონტი

რომი. ენკენისთვის 16. სელლადიდოლისა და მონტე-სან-გაბრიელის ჩრდილო კალთებს შორის ბრძოლაში ჩვენ რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი დაგვრჩა. ტყვედ ვიგდეთ 8 ოფიცერი და 216 ჯარისკაცი. მტრის კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ.

ახლო აღმოსავლეთი

პარიზი. ენკენისთვის 14. მონასტირის ჩრდილოეთით მტრის ბატარეები მოქმედობენ.

რუსეთის რესპუბლიკა

ჯარისკაცთა დიქტატურა ტაშკენტში

ტაშკენტი. ენკენისთვის 14. სასურსათო საკითხის გამწვავების გამო ჯარისკაცებმა შეიპყრეს ციხგაუზის გამგე პრაპორშჩიკი ფლოროვი და ორი კაპიტანარიუსი. დაადგინეს სურსათი მუშათა და ჯარისკაცთა ხელში გადასცენ, ბუქარაში მანუფაქტურა არ გაუშვან და ქალაქში ჩხრეკა მოახდინონ. ენკენისთვის 12 მრავალრიცხოვანი მიტინგი მოხდა. მიტინგს მხოლოდ მუშები და ჯარისკაცნი დაესწრნენ. მოითხოვდნენ ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის თანამდებობიდან გადაყენებას. ორატორები ბოლშევიკურ ლოზუნგებით უმასპინძლდებოდნენ დამსწრეთ. აირჩიეს დროებითი რევოლუციური კომიტეტი 14 კაცისაგან. საღამოს სასწრაფო სხდომაზე არჩეულ იქმნა აღმასრულებელი კომიტეტი. კომიტეტში შედის 16 სოც.-რევოლუციონერი და 11 სოციალ-დემოკრატი. სხდომის დროს შეიტყვეს, რომ ჯარის უფროსის გენერალ ჩერკესის ბრძანებით პრაპორშჩიკების სკოლის იუნკრებს რევოლუციური კომიტეტი შეუპყრიათ. გენერალ ჩერკესის ტრიბუნაზე ასვლას პროტესტებით შეეგებნენ. გენერალს დაპატიმრებულთა განთავისუფლება მოსთხოვეს. მან უარი განაცხადა. ამან დიდი აურზაური გამოიწვია. ჩერკესმა კრება დასტოვა. მიღებულ რეზოლუციით ჩერკესი თანამდებობიდან გადაყენებულია. ჯარის უფროსად დანიშნულია პორუჩიკი პერფილიევი, შტაბის უფროსი პოდპოლკოვნიკი მაკკავევი და პოლკოვნიკი ატაის მაგივრად პოლკოვნიკი ველეცკი და პრაპორშჩიკი გრინევიჩი დაინიშნენ. ქალაქში შეიარაღებული ყარაულები დგანან. პოჩტას, ტელეგრაფს, ხაზინასა და ბანკებს დარაჯები უდგანან. მთელი მთავრობა დეპუტატთა საბჭოს ხელშია. ენკენისთვის 14 მოწვეულ იქმნა საოლქო ორგანიზაციების საზოგადო სხდომა. ქალაქის თავი, გამგეობის თავმჯდომარე, მათი მოადგილენი და წევრები თანამდებობიდან გადადგნენ.

ბანაკში ტაშკენტის ამბების გამო სპარსეთიდან გენერალ ლონგინოვისაგან შემდეგი ცნობა მისულა: ტაშკენტში მთელი მთავრობა დეპუტატთა საბჭოს ხელშია. გადაუყენებიათ ჯარის უფროსი გენერალი ჩერკესი, შტაბის უფროსი მაკკავევი, ქალაქის კომენდანტი ატაევი, სამხედრო ცნობათა უფროსი მიხაილოვი. ოლქის ჯარის უფროსად დანიშნულია პორუჩიკი პერფილიევი, რომელიც მოითხოვს, რომ გადაყენებულ უფროსთა ბრძანებები არ სრულდებოდეს. აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარედ ჩერნიავსკია". გენერალი ლონგინოვი ინსტრუქციებს ითხოვს.

კერენსკის ულტიმატუმი

პეტროგრადი. ენკენისთვის 16. მინისტრ-თავმჯდომარის ხელმოწერით თურქესტანის კომიტეტს სამარყანდს, სკობელევს, ვერნის, ასხაბადს, საოლქო კომისარს და დეპუტატთა საბჭოებს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს: „ტაშკენტის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ გადააყენა დროებით მთავრობის მიერ დანიშნული მთავრობის წარმომადგენლები, დაატუსაღა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საოლქო საბჭოს წევრები და მთელ თურქესტანში მთავრობის ხელში ჩაგდებას შეეცადნენ. ტაშკენტის საბჭოს მოქმედება ამბოხებად ჩაითვლება. ვინც დროებით მთავრობის წარმომადგენლებს ოცდაოთხ საათის განმავლობაში არ დაემორჩილდება სასტიკად დაისჯება ვინც უნდა იყოს იგი. წინადადებას ვიძლევი დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქმნენ ყველა დაპატიმრებული და აღდგენილ იქმნეს მათი მთავრობა. ყველგან მიღებულ იქმნას უკიდურესი ზომები. საჭიროებისამებრ შეიარაღებულ ძალასაც მიმართეთ. იგზავნება ჯარი და ტყვიისმფრქვეველები; მოდიან მთავარი კომისარი და ჯარის უფროსი.

პეტროგრადის დემოკრატიული თათბირი

(გაგრძელება)

მთავარ სარდლის შემდეგ გამოდის სამხედრო მინისტრი. მან განაცხადა, მეტად მძიმე პირობებში მომიხდა სამხედრო მინისტრის თანამდებობის მიღება, სახელდობრ მაშინ, როდესაც კორნილოვის ეპოპეამ ხელახლად შეარყია ისედაც შერყეული არმიაო. გერმანეთი ჰგრძნობს ჩვენს სისუსტეს და აკი კიდეც გვთავაზობს სეპარატიულ ზავის პირობებს. მამაცმა ჩვენმა მოკავშირეებმა კატეგორიულად უარყვეს მათი წინადადება. ჩვენთან ერთად იმათაც სწამთ, რომ რუსეთის არმია შიშველი მკერდით დაიცავს სამშობლოს და რევოლუციურს რუსეთს, (აპლოდისმენტები). შემდეგ ვერხოვსკი ამოწმებს, რომ არმიას კვალად შეუძლიან განაგრძოს თავის მოვალეობის შესრულება. 12-მა არმიამ უარი არ სთქვა რიგასთან მამაცურად შებრძოდა მტერსა. ჯარები უდრტვინველად იხოცებოდნენ პოზიციებზე, მაგრამ ჯარების სიკვდილი კი არა არამედ გამარჯვებაა საჭირო. არც თუ ფლოტი ამბობს უარს ბრძოლის ველზე გასასვლელად. შემაძრწუნებელი მხოლოდ ისაა, რომ მოქმედ ლაშქარში ისეთი ბნელი ელემენტები ერევიან, რომელიც სამშობლოსა და მოვალეობისა არა ესმით რა. ხალხს საუკუნოებით სიბნელეში ამყოფებდნენ, აი ჩვენს ფრონტზე მომხდარ ტრაგედიის სათავე ძველი სწორედ ესაა! მაგრამ არმიის მომავალი უიმედო არაა, შეიძლება ყოველისფერი გასწორდეს, თუკი მხნედ ვიქნებით, სასოწარკვეთილებას არ მივეცემით. ასე იქცევიან ოფიცრობა, რომელნიც სახელოვნად ეგებებოდნენ სიკვდილს. მათ არ ახასიათებთ ნივთიერი ინტერესები, უანგაროდ პატრიოტიზმით შეპყრობილნი სიკვდილს უდგებიან პირისპირ. ჯარის ხელმძღვანელთა ის ნაწილი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კორნილოვის აჯანყებაში, უკვე დათხოვნილია. ახლა ვცდილობთ სრულიად ახალს ნიადაგზე შევამზადოთ ოფიცერთა შემადგენლობა, რომ ღვამაღლოთ შეგნება, ჯარში დაიბადოს იმედი, აღფრთოვანება, რათა რევოლუციურ დისციპლინით ფეხდაფეხ მივსდევდეთ ჩვენთან ერთად მებრძოლ კომიტეტებს. არმია უდისციპლინოთ არაფერია. ყური დაუგდოთ ოფიცრობას, რომელნიც, მცირეოდენის გამოკლებით, რევოლუციონერულ მთავრობას უჭერენ მხარს რუსეთის რესპუბლიკის დასაცველად. სიკვდილით დასჯის შესახებ სამხედრო მინისტრმა სთქვა, გონიერი აღზრდა და გარდაქმნა ჩვენი არმიისა თავისთავად მოსპობს ამ უკიდურეს ზომასაო, თუ არა და თვალწინ გვექნეს აუარებელი ფაქტი ძალადატანებისა, დარბევისა, მკვლელობისა, სამხედრო საწყობების ნგრევა-განადგურებისა, რასაც სულმდაბლობა ერთი ბეწვა ბრბო აწარმოებსო. მთავრობის მოვალეობაა სთქვა, რომ დემოკრატიასთან ერთად იგი სიტყვიდან საქმეზე მალე გადავა და რევოლუციურ მთავრობასთან ერთად იმდენი ძალა შესწევს, რომ ყოველგვარ უწესობას ლმობიერებისო. ვერხოვსკის სწამს, რომ არმია ახალის აღზრდის შემდეგ განიკურნება. ომი უნდა გაგრძელდეს იმ დრომდე, ვიდრე არ გვეცოდინება, რომ ზავი უზრუნველჰყოფს ჩვენს თავისუფლებას. საჭიროა ახალი მსხვერპლი, ახალი დაუშურებლობა! ნურცა ჰქნას, რომ ჩვენი სამშობლო ქვეყანა მტრის მონაყმად გარდაიქცეს და რომ რუსის ხალხი გერმანელების მონათ იქცესო. სამხედრო მინისტრის სიტყვას ღრიანცელი ტაში მოჰყვა.

თავმჯდომარე ჩხეიძის წინადადებით კრებამ დაადგინა მოისმინოს იქმნეს კერძო პარტიათა წარმომადგენლები. ს.-რ.—ნერთა მხრით გამოდის ჩერნოვი, ბოლშევიკებიდან—კამენევი, მენშევიკთა უმცირესობიდან—ბოგდანოვი ხოლო მენშევიკთა უმრავლესობისაგან—წერეთელი. ტრიბუნაზე გამოჩნდება ჩერნოვი, რომელსაც ტაშის ცემით ეგებებიან. იგი კრიტიკულად განიხილავს იმ გზას, რომელიც გაიარა რუსეთის რევოლუციის პირველ დღიდან და კრიტიკას ქარცეცხლში ატარებს თვით კოალიციის პრინციპს. იგი ხაზს უსვამს ამ პრინციპს და ამტკიცებს, რომ კოალიცია უკან გადადგმული ნაბიჯი იყოო. ამ კოალიციის შემდეგ დემოკრატიის ფრონტი გაირღვა და ჩვენი ქვეყნის რწმენას მომაკვდინებელი მახვილი ჩასცაო. დემოკრატიის ერთობა, მისი ძალისა და გონების მჭიდრო შეკავშირება და დისციპლინა თუ დაგვიხსნის უმწეო მდგომარეობიდანო. რაწამს დემოკრატია მოსწყდა ამ ერთობის ნიადაგს, მისმა მტრებმაც თავი აიმაღლესო. შემდეგ ჩერნოვი შეეხო ცენზიანს რუსეთს და განაცხადა, რომ ძირითადი საკითხი მიწისა, მთავრობის წინაშე წარდგენილი, ჯერაც გადაუწყვეტელიაო. ცენზიანი რუსეთი იმდენად უცხო იყო მშრომელ სოფლის წრეებისათვის, რომ ახალ წესრიგის მოთხოვნილებას ოდნავად ალღო ვერ აუღოო. მოწყვეტილმა სოფელში დემოკრატიის ერთობის ჩაფუშვის შემდეგ დემოკრატიულ ორგანიზაციების გავლენა მეტად ნაკლები იყო. ამისთანა დროს დემოკრატიის წინაშე უდიდეს ისტორიულმა საკითხმა წამოჰყო თავი: მთელს ჩვენს ქვეყანაში ყოველისფერი ინგრევა, არა სჩანს მეთოდიური შემოქმედი მუშაობა, და არც თუ შემთხვევით წარმოიშვა კორნილოვის ავანტიურაო. როდესაც შეეხო საკითხს, თუ როგორი უნდა იყოს მთავრობაო, ჩერნოვმა განაცხადა: „ჩვენ გამოვდიოდით იმ პრინციპიდან, რომ საჭიროა შესდგეს უდიდესი კოალიცია კერძო ელემენტებთან ერთად, გარკვეულ პროგრამის ნიადაგზეო", (ტაში). შემდეგ ჩერნოვი შეეხო სოფლის მიერ დაღვრილ სისხლს. ფაქტიურად ბრძოლის ველზე სისხლს აჩნევს გლეხობა, იქ მხოლოდ გლეხთა არმია იბრძვის. სოფელმა სამშობლოს საკურთხეველს შესწირა მთელი თვისი ცოცხალი ძალა, მაშინ როდესაც დანარჩენი კლასები მხოლოდ არმიის ზურგში მოეწყვნენ და იქ უზრუნველად ცხოვრობენ. ერთადერთი ხსნა ის იქნება, რომ ამ ტიტანის „მუჟიკის" არმიაში გამოიწვიონ შეგნება-აღფრთოვანება, აღუთქვათ და დაარწმუნოთ ისინი, რომ მიწის მოხმარების უფლება უზრუნველყოფილია მისთვის, და რომ უკვე დაწყებულია ის წესრიგი მიწათმოქმედების სფეროში, რასაც ასე რიგად ესწრაფვის გლეხობა. დასასრულ ჩერნოვმა ილაპარაკა რევოლუციის მტერთა იმ თავხედობაზე, რომელნიც მოსკოვის თათბირზე ყველას ამცნეს უკეთესი შემძლეობის უმტკიცებდნენ და საქმეში ჰინდენბურგთან ერთად გახსნეს ფრონტი და ჯარისკაცებს შიშველი მკერდით უხდებოდათ უმცირესი ნაბიჯის დაცვა, რომ მათთვის პეტროგრადისაკენ გზა არ გაეხსნათო. (ძლიერი ტაში). დასასრულს ჩერნოვმა მოუწოდა დემოკრატიულ ელემენტებს შეერთებისაკენ, შინაგან შემოქმედების ძალის განმტკიცება, რაიც ასე რიგად საჭიროა რესპუბლიკისა და სამშობლოს ხსნისათვის.

კერენსკის სიტყვა.

პეტროგრადი. ენკენისთვის 14. შენიშვნა. მოგვყავს სიტყვის მეორე და მესამე ნაწილი, რომელიც შაბათის დეპეშებით ვერ მივიღეთ.

კერენსკი განაგრძობს: დემოკრატიის კრების წინაშე მე არ შემიძლიან ვილაპარაკო ვიდრე არ შევიტყობ არის თუ არა აქ ვინმე ჩემი გამკიცხველი (ხმები მარცხენიდან „არის").

კერენსკი ამბობს: „ცილისწამება და კიცხვა, რომელიც ამ უკანასკნელ ხანში იმსოდა (ხმაურობა და ტაში) ნება მომეცით ვამცნოთ ცოტა რამ კორნილოვის აჯანყების შესახებ, რის დამტკიცება უკვე შეიძლება (ხმები დემოკრატიულ სექტორიდან). კერენსკი განაგრძობს: დიახ დემოკრატიის დამხმარებით, ვინაიდან რასაც კი ვაკეთებ—მხოლოდ დემოკრატიის სახელით ვაკეთებ (ქუხილი ტაში) გეხსომებათ შევიტყვე რომ დაფიქრებულ მე ნაპოლეონის პრეტენზიებს მწამებდნენ. მე მოშინებულ ვამბობდი, რომ რევოლუციურ მთავრობის რედველით თქვენ მხარს არ უჭერდით ჯარის რევოლუციურ დისციპლინას. (აქ აზრი დამახინჯებულია) და აი სამარცხვინო დახევა გალიციიდან, იმდენად დახევა არ არის შემაძრწუნებელი რამდენადაც კალუშისა და ტარნოპოლის დარბევათა სცენები. ამდროს ზურგმა დაჰკარგა რწმენა რევოლუციურ მთავრობისა და იმ იდეის, რომლითაც მე ჯარში მოვქმედობდი. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მომხდარი შეთქმულების შესახებ მე წინადვე მომდიოდა ცნობები. დღითი დღე ვცდილობდი, ათას ზომებს მივმართავდი რომ იგი ამომეფხვრა (ხმები მარცხნიდან „პირველი გენერალი რუსეთის რევოლუციისა". პროტესტები წესრიგის დამრღვეველთა წინააღმდეგ) ჩემთვის განურჩეველია თუ როგორ ეპყრობიან ჩემ სიტყვებს ისინი, ვისაც არ უნდა რომ მე მერწმუნოს. ყოველთვის, როცა კი ცდილან რევოლუციურ წესწყობილების დარღვევას მარჯვნიდან თუ მარცხნიდან ჩემ წინააღმდეგ ამხედრებულან. ეს მარწმუნებს მე, რომ ის გზა რომლითაც მივდივარ იხსნის სამშობლოს (ტაში) დროებით მთავრობას ახალ მთავარსარდლისგან ხშირად მოსდიოდა ულტიმატიური მოთხოვნილებები. იგი გრძნობდა, რომ გალიციის ამბები ახალ ზომებს მოითხოვდნენ ჯარის სიძლიერისათვის, მაგრამ დროებით მთავრობას სხვა გზა ჰქონდა. ფრონტზე ახალ-ახალ უბედურებას ყოველთვის ულტიმატიური მოთხოვნილებები მოსდევდა. უნდა ვსთქვა, რომ ის მოძრაობა, რომელმაც თავი იჩინა მარტო ბოროტ-განზრახვას არ ხატავდა—მასში ერია ძლიერი გრძნობა, სამშობლოს სიყვარული. მოსკოვის თათბირის წინა დღეებში ჩემ წინ უფრო ნათლად წამოიჭრა განმარტებულ მოთხოვნილებათა აღსრულების საჭიროება. მოსკოვის თათბირზე მოთხოვნილებები არ დავაკმაყოფილეთ. კორნილოვს დროებით მთავრობის მოხსენებაზე ცნობები არ მისდიოდა. რიგის ამბებმა ბანაკში ჩასახულ მოძრაობას ხმა აამაღლებინა. ფრონტი სტახტო ქალაქს დაუახლოვდა და ამიტომ საჭირო იყო სამხედრო ცვლილება პეტროგრადის გარშემო. (შემდეგი ნაწილი სიტყვისა უკვე დაბეჭდილი გვქონდა).

კამენევის სიტყვა

კამენევი აცხადებს, რომ დროებით მთავრობის სხვა და სხვა შემადგენლობათა 6 თვის ნამუშევარი გვაიძულებს ბოლშევიკებს ყოველივე რწმენა დავკარგოთ იმ პოლიტიკისა, რომელსაც კერენსკი ადგია (პროტესტები. ბოლშევიკების ტაში). მთავრობიდან პეშეხონოვის გასვლის შესახებ ლაპარაკით კამენევი ამტკიცებს რომ აგრარულ საკითხების გადაწყვეტა ბურჟუაზიის მიერ საჭიროა. ეკონომიურ პროგრამის პოლიტიკურ და სამხედრო რეფორმების განუხორციელებლობით აიხსნება. ვერხოვსკი ამბობს. საჭიროა ჯარის კონტრრევოლუციურ შემადგენლობის გაწმენდაო. თუ ეს ასეა, მაშ რადგა, რომ მათ სიკვდილით სასჯელის იარაღი უპყრიათ. არავის შეუძლიან უარჰყოს, რომ სიკვდილით სასჯელზე პირველად ხმა კორნილოვმა, სავინკოვმა და ფილონენკომ ამოიღეს. ეხლა კორნილოვი, როგორც შეთქმული ციხეშია. სავინკოვისა და ფილონენკოს შესახებ მათ პარტიის ცენტრალი კომიტეტი ეხლა სჯის საკითხს რად არ შეეკითხება. ბურჟუაზიამ იცის, რომ რევოლუციის გაღრმავება დაამყარებს პროლეტარიატის, გლეხობის და ლაშქრის ჯერ არ ნახულ მთავრობას. თქვენ თუ გგონიათ, რომ ჰპოვებთ ისეთ ბურჟუაზიას, რომელიც თავის ინტერესებს გვერდს აუქცევს—ძალიან სცდებით. კორნილოვის პროექტებში ნახსენები იყო, ზურგში სიკვდილით დასჯის შემოღება, რკინის გზათა და ფაბრიკების მილიტარიზაცია, სამხედრო წესების შემოღება და ცხენოსანთა კორპუსის მთავრობის განკარგულებაში გადაცემა. კორნილოვის ამბოხების შემდეგ ჩვენ წინ მთავრობის ორგანიზაციის საკითხია. ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკამ იქამდის მიგვიყვანა, რომ შეთქმულნი შეეცადნენ მთავრობის ხელში ჩაგდებას. მთავრობა მებრძოლ კლასების შემაკავშირებლად გამოვა. მთავრობა ან ერთის და ან მეორე კლასის ხელში უნდა იყოს. აქამდის მთავრობა ბურჟუაზიის ხელში იყო. თუ დემოკრატია ეხლაც არ მოისურვებს მთავრობას—საყოველთაოდ უნდა განაცხადოს: „არა გვაქვს იმდენი ჩვენ ძალებისა და ამიტომ, ბერიშკინო და კიშკინო, მოდით და იმფლობელოთ ჩვენზე". (სიცილი, ტაში). უტოპიაა ის აზრი, ვითომ ბურჟუაზია ჩვენ პროგრამას გულმოდგინედ მოეკიდება. კადეტების პარტია—ბურჟუაზიულ პარტიების საუკეთესო წარმომადგენელია. ჩვენ გვირჩევენ უარი განვაცხადოთ საუკეთესო ბურჟუაზიულ პარტიებზე და უხეიროებთან შევთანხმდეთ. მაგრამ თუ კოალიცია, ბარემ საუკეთესო ბურჟუაზიასთან იყოს. თუ არა და არავითარი კოალიცია. კადეტებმა კორნილოვის შეთქმულობით გაითქვეს სახელი—მათთან შეთანხმება შეუძლებელია. კამენევი მოუწოდებს

უარი განაცხადონ ბურჟუაზიულ ელემენტებთან შეთანხმებაზე, ვინაიდან მათ უკან გენერლები, საერთაშორისო კაპიტალი [illegible] იმალებიან. იგი სთხოვს დემოკრატიას ირწმუნოს თავისი ძალა და თვით დაიმტკიცოს მტკიცე მთავრობა.

ჩხეიძის განცხადება

თავმჯდომარე ჩხეიძე აცხადებს: კამენევმა სთქვა, რომ პეტროგრადში კონტრ-რევოლიუციური პოლკები მოიყვანესო. უნდა განვაცხადო, რომ კონტრ-რევოლიუციური პოლკები არ არსებობენ (ტაში) პეტროგრადში თუ პოლკები მოიყვანეს, ისიც შეცდომაში შეიყვანეს. აკი როდესაც შეიტყეს თუ რაში იყო საქმე, რევოლიუციურ ორგანიზაციების მხარეზე გადავიდნენ.

ბოგდანოვის სიტყვა

ბოგდანოვი აღნიშნავს, რომ ერთი თვის განმავლობაში, მოსკოვის თათბირის შემდგომ, მდგომარეობა დიდად შეიცვალა. ახლა სეპარატიულ ზავზე კი არაა ლაპარაკი, არამედ საზოგადო ზავზე, რომელიც რუსეთის თავზე მოიდებს ყოველგვარს უბედურობას. აქამდის მთავრობის კოჭლობასა ვხედავდით, რომელიც თვითმპყრობელობის უკანასკნელ დღის კოჭლობიდან არაფრით არ განსხვავდებოდა. ამ კოჭლობას კი ჩვენი ქვეყანა მიჰყავდა უკიდურეს სიძაბუნემდე. მთავრობის დაუდგრომლობამ წარმოშვა თვით მთავრობის ძალის უნიათობა. ექვსი თვის რევოლიუციის შემდეგ, მე, კოალიციის მომხრე და კოალიციისთვის თავგამოდებით მებრძოლი, საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ ამ უნაყოფობის უმთავრესი მიზეზი სწორედ ეს კოალიციური შემადგენლობაა (აპლოდისმენტები). მთავრობის ერთი ნაწილი მუდამ აფერხებდა საქმის მსვლელობას, ხოლო მეორე ნაწილი მისგანა სწყვეტდა მცხოვრებთა უმრავლეს ნაწილს. რაზნაირადაც უნდა დაეჭირათ მხარი საბჭოებს, მათი დახმარება საკმარისი არ იყო. კოალიციური შემადგენლობა სულ მთავარს ბანკს შეეწირა. მთავრობა არა თუ მოსწყდა ხალხს, არამედ იგი გარდაიქცა უპასუხისმგებლო მთავრობად. ამ უპასუხისმგებლობამ კი იქ მიგვიყვანა, რომ მთავრობა დღეს აღარც ერთს საზოგადოების კლას არ ეყრდნობა, რამაც ხელი შეუწყო კორნილოვს ავანტიურისთვის ხელი მიეკიდნა. გამოსავალი ერთია: მოსკოვში აღნიშნული რევოლიუციურ დემოკრატიის პროგრამა დღეს უნდა სისრულეში მოვიყვანოთ. უნდა შევადგინოთ ისეთი მთავრობა, რომელსაც ფართო მასსა გამოუცხადებს ნდობას. იგი პასუხისმგებელი უნდა იყოს ამ მასსის წინაშე და იმ ორგანოებისადმი, რომელსაც ეს მასანი წამოაყენებენ (აპლოდისმენტი). ცენზიანი ელემენტებიდან ვიცნობთ კადეტთა პარტიას, მაგრამ იგი არ იზიარებს ამ პროგრამას. შემდეგ, არ შეიძლება რომ კიშკინს, ტერეშჩენკოს ანუ ნეკრასოვს რომელიმე ცენზიან დიდი პარტიის მაგიერობა გავაწევინოთ. არც თუ ის შეიძლება რომ ვაჭარ-მრეწველ ბურჟუაზიასთან ვიაროთ. ამ გზით შესაფერი ცდა უკვე მოვახდინეთ. ერთად ერთი გამოსავალი გზა ისაა, რომ მთავრობა შესდგეს დემოკრატიისაგან- მაგრამ არა საბჭოებს დაევალოთ მისი შედგენა, არამედ ამ თათბირის მიერ წარმოდგენილ დემოკრატიას. მთავრობა ამ თათბირზევე უნდა შესდგეს. ახლავე უნდა დავასახელოთ ის ორგანოები, ვისაც უნდა ქვეყნის მართვა-გამგეობა ვანდოთ. (აპლოდისმენტები).

წერეთლის სიტყვა

შემდეგ გამოდის წერეთელი. ტრიბუნაზე გამოსვლისთანავე ატყდება ძლიერი ტაშის ცემა. წერეთელი ჰფიქრობს, რომ ისინი, ვინც ერთფეროვან მთავრობის მოხრეთ გამოდიან, მეტად დიდს პასუხისმგებელ საქმეს კისრულობენ. თუ კოალიცია გაკოტრდა, მაშინ ერთფეროვანი მთავრობა, რომელსაც დიდი მოვალეობა ეკისრება, უძლური იქნება შესძლოს ქვეყნის გაძღოლა. (ტაში). წერეთელს სჯერა, რომ ცენზიანმა ელემენტებმა ვერ გამოიჩინეს საკმაო უნარი მართვა-გამგეობისა, მაგრამ არც იმასა ჰყოფს უარს, რომ მრავალი სხვა დამაბრკოლებელი მიზეზიც უძღოდა წინ მართვა-გამგეობის სისუსტეს. თუ ამ პირობებში მოუხდება მომავალ ერთფეროვან მთავრობას მოქმედება, მაშინ სულ მალე დაინახავთ, რომ მრავალ მოიმედეთ ეს უკანასკნელი ნუგეშიც როგორ გაუცრუვდებათო. შემდეგ წერეთელი ეკითხება კრებას: რატომ ხდება, რომ მთავრობის კრიზისი ყოველთვის ცენზიან ელემენტთა გაქცევას იწვევს და დემოკრატიის მხრით კი არას ვისმენთო. ნუ თუ ეს იმის ნიშანია, რომ კოალიციური მთავრობა მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიის საქმეს აკეთებდა თუ იმის მომასწავებელია, რომ მთავრობაში ცენზიანი ელემენტები რჩებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ საქმის მსვლელობა შეეფერხებინათ და დემოკრატიისთვის ყოველიფერში ხელი შეეშალათ? [illegible] ებრძოდა კოალიციური მთავრობა, მიუხედავად მძიმე და აუტანელი პირობებისა, იგი დემოკრატიის საქმეს ემსახურებოდა. თუ იტყვით, რომ კორნილოვთან ერთად მთელი ცენზიანი რუსეთიც დემოკრატიის წინააღმდეგ ამხედრდაო, ეს მართალი არაა. ცენზიანი დემოკრატიის უმრავლესობა არ მისდგომია კორნილოვს აჯანყებაში. კორნილოვს მხოლოდ ავანტიურისტთა ჯგუფი მიჰყვა, ცენზიანების უმრავლესობა კი ან პასიურად იჭერდნენ თავს, ანდა მის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, ვინაიდან იცოდნენ, რომ კორნილოვის აჯანყება მთელს ქვეყანას დაღუპავს უქადოდა. დღეს აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, ცენზიანი დემოკრატია უნდა დარწმუნდეს, რომ ყოველგვარი პოლიტიკა, რომელიც დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულია, ავანტიურად დარჩება და როგორც ასეთი, უსათუოდ დაიღუპება. კორნილოვის აჯანყებამ განამტკიცა დემოკრატია და ავანტიურისტულს იმედებს ბოლო მოუღო. შემდეგ წერეთელი შეეხო მთავრობის ორგანიზაციის საკითხს. თუ ძალთა განწყობილება ისეთია, რომ დემოკრატიულ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო იქნება ცენზიან ელემენტებსაც მოვუხმოთ დასახმარებლად, ეს იმას არ ნიშნავს რომ ასეთს ძალა-განწყობილებაზე დავაფუძნოთ მთავრობის ძალა. დადგა დრო ახალი ორგანოს შედგენისა, რომელიც მთელი რუსეთის დემოკრატიის განსახიერება იქნება, შექმნის ძალას, რომელიც სავსებით შეასრულებს დემოკრატიის ძველს პროგრამას, რაიც მთავრობის მიერ შემუშავებული იქნა 8 ივლისს და 14 მარიამობისთვის. მაგრამ ეს კიდევ იმას როდი ნიშნავს, ვითომც დემოკრატია იმდენად გამაგრებულიყოს, რომ თავის კლასის ნებასურვილი ყველა კლასებს მოახვიოს თავზე, არამედ იმიტომ, რომ ამ პროგრამაში გამოიხატება სახელმწიფოს სიცოცხლე, მისი დაცვა. წერეთელი ამტკიცებს, რომ ეს პროგრამა ბურჟუაზიისთვისაც მისაღებია. თუ იმას ჰფიქრობთ, რომ ვითომც დეჰკრა დრომ, როდესაც ცენზიან დემოკრატიის მიერ ამ პროგრამის მიღება-მიუღებლობის მიუხედავად შეგვიძლიან ცენზიანს დემოკრატიას კარი დაუკეტოთო, მაშინ მართალი ვიქნებით თუ არა დავიცვათ რევოლუციის ინტერესები, როდესაც წინ შევეჩეხებით უკვე ძველს ჩვენდამი მათს განწყობილებას? ვფიქრობ, მხოლოდ დღეს უნდა ყოველ მხრით გამოყენებული იქნეს რუსეთის ძალები მის გარდაქმნის დასასრულებლად (ტაში). სხდომა დაიხურა.

ეროვნული საკითხი

ერთა ყრილობა კიევში

(საქ. ერ.-დემოკ. პარტიის დელეგატის დეპეშა)

ერთა ყრილობა დამთავრდა ენკენისთვის 15. ყრილობაში მონაწილეობა მიიღეს ყველა ერის წარმომადგენელმა, გარდა სომხებისა. ყველა რეზოლიუციები ერთხმად იქნა მიღებული. 1) რუსეთი ფედერატიული რესპუბლიკა უნდა იყოს; 2) გარეშე საქმეთა სამინისტროში უნდა შესდგეს განსაკუთრებული თათბირი, ეროვნულ კითხვათა გასარკვევად; 3) დაინტერესებულ ეროვნებათა წარმომადგენელნი როცა დელეგაციას გაჰგზავნიან სამშვიდობო კონფერენციაზე, მაშინ ნება უნდა დართონ დაინტერესებულ არასახელმწიფო ერებსაც იქ დასასწრებლად. დამახასიათებელია ყაზახთა რეზოლიუციებიც. გამოვიდნენ რა იმ დებულებიდან, რომ ყოველს ერს აქვს წარუკვეთელი უზენაესი უფლება და რომ მთავრობას უფლება არა აქვს ეროვნებათა ბედი და უბედობა განაგოს ერის დაუკითხავად, ერთა ყრილობამ დაადგინა მთავრობის ყურადღება მიქცეულ იქმნეს განსაკუთრებულ აქტის გამოსაცემად, რომელშიაც აღნიშნული იქნება ლიტველთა დადგენილება სუვერენულ ლიტველთა სახელმწიფოს დასაარსებლად, რომელიც უნდა შესდგეს რუსეთისა და პრუსიის ლიტვის ნაწილისაგან; 4) ყაზახთა ჯარების კავშირის წარმომადგენელმა მოხსენება წაიკითხა, სადაც გამოთქმულია აზრი ყაზახთა დამოუკიდებლობის შესახებ. იგი ასეთად უნდა ვიცნოთ თავის განსაკუთრებული ისტორიული პირობების გამო. ასეთს მისწრაფებას ერთსულოვნად ეძებებიან მთელი ყაზახობა და მოუწოდებენ ყველას თვით გამორკვევისაკენ, რათა თავისუფალი ყაზახობა შეუკავშირდეს რუსეთის რესპუბლიკის თავისუფალ ერებსაო. ყველა ერნი ფედერატიულს ნიადაგზე მოაწყობენ თავიანთს ბედნიერებას, როგორც სწორ-უფლებიანი წევრნი დიდ ოჯახისაო. ციმბირი ფაქტიურად შეუდგა ავტონომიის განხორციელებას. რეზოლიუციებში ბევრია ნათქვამი. აქ მოკლედ გადმოგეცით. შემდეგს რეზოლიუციებს და თქვენი დელეგატის სიტყვებს საკუთრივ გამოგიგზავნით.

ი. მაჭავარიანი.

ფინლიანდია და რუსეთი

სეიმის ნაძალევათ გახსნა

ჰელსინგფორსი. ენკენისთვის 15. ტალმანის ბრძანებით 12 საათ. და 15 წუთზე სეიმის დაბეჭდილი კარები გახსნეს. სხდომა 12 საათ. და 45 წ დაიწყო. სოციალ-დემოკრატიის ფრაქციის 80 წევრი დაესწრო. არ დაესწრნენ მემარცხენენი და ცენტრი. ტალმანი მანერი და სენატის სამეურნეო დეპარტამენტის ყოფილი ვიცე-თავმჯდომარე ტოკოი და სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის ერთი ლიდერთაგანი ვინკა ნაშუადღევს პირველ საათზე მოვიდნენ სეიმის შენობაში. სეიმმა დაამტკიცა მოქმედებაში გასაყვანად სეიმის სხვა და სხვა კრებებზე დამტკიცებული კანონები: რვა საათის სამუშაო დღეზე, კომუნალურ რეფორმაზე რუს მოქალაქეთა სათემო და სამრეწველო უფლებათა შესახებ, ებრაელთა სწორ-უფლებიანობაზე—თიბათვის 13-დან ფინლიანდიაში უმაღლეს მთავრობის შემოღებაზე, მთავრობის წევრთა ხალხის წარმომადგენელთა წინაშე პასუხის-მგებლობაზე და მუშათა დაზღვევაზე, რომელიც სეიმმა ჯერ ისევ 1909 წელს მიიღო. სეიმის სხდომამ 35 წუთი გასტანა.

უარი რუსებისათვის რეკვიზიციაზე

აბო. ენკენისთვის 16. ტავასტგუსის გენერალ-გუბერნატორომა უარი განაცხადა, რუსის ჯარისთვის თივის რეკვიზიციაზე. გენერალ-გუბერნატორის განკარგულების გარეშე მოქმედება უკანონოდ მიიჩნია. სენატის პროკურორმა გუბერნატორის გარდაწყვეტილება მოიწონა.

უკანასკნელი დეპეშები

„დენ“-ი და „ედინსტვო“ წინასწარ პარლამენტის წინააღმდეგნი არიან.

—

„რეჩ“-ი სწერს: თათბირი ბოლშევიკების დღესასწაულად გადაიქცა. მხოლოდ მათ იციან რაც სურთ. დანარჩენნი მხოლოდ ცოდვილობენ. ბოლშევიკები დემოკრატიის სისუსტეს თვალყურს ადევნებენ და თავიანთ მიზნებისკენ შეუდრეკლად მიისწრაფიან.

—

ირკვევა, რომ წერეთლის მომხრენი გაიმარჯვებენ. მას სრული ნდობა აქვს. თვითეულ მის სიტყვას ღრმა გულისყურით ისმენენ.

—

დემოკრატიულ თათბირზე ჩამოსული დეპუტატთა საბჭოს დელეგატები პეტროგრადში განზრახულ საბჭოთა დეპუტატების ყრილობამდე დარჩებიან. ყრილობაზე წამოაყენებენ საკითხს მთავრობის დეპუტატთა საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ.

—

დირექტორიის დადგენილების თანახმად შეიპყრობენ ლენინს და ზინოვიევს.

—

კორნილოვის პოლკი საფრანგეთის ფრონტზე იგზავნება.

ქრონიკა

თბილისი

◆ **სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად საეკლესიო კრების მიერ არჩეულ იქმნა ყ-დ სამღ. ეპისკოპოსი კირიონი.**

◆ **საეკლესიო არჩევნები.** თბილელ მიტროპოლიტად დარჩა ლეონიდე, ქუთაისის მიტროპოლიტად ეპ. ანტონი, ჭყონდიდელ მიტროპოლიტად არქიმანდრიტი ამბროსი, (ბესარიონ ხელაია), გორის ეპისკოპოსად—ეპ. დავითი და ალავერდისა—ეპ. პიროსი. ამას გარდა არჩეულ იქმნა საკათალიკოსო საბჭო, რომელშიაც არჩეულ იქმნენ: დეკ. კორნელი კეკელიძე, დეკ. კალისტრ. ცინცაძე, დეკ. ნიკ. თალაკვაძე, მ. მაჩაბელი, პ. გოთუა, ი. ვართაგავა, პ. მახათაშვილი, პ. ინგოროყვა, რ. ივანიცკი, თ. სახოკია და ქრ. კაპანაძე.

◆ **საეკლესიო კრების სურათის გადაღება.** ენკენისთვის 18-ს ფოტოგრაფიული სურათი იქმნა გადაღებული საქართველოს კათალიკოზის კირიონისა და საეკლესიო კრების ყველა წევრთა.

◆ **ქალაქის მილიციონერთა ჯამაგირი.** საგანგებო კომისიამ, რომელსაც ქალაქის საბჭომ დაავალა ქალაქის მილიციის მოწესრიგება, უკვე დაამთავრა მუშაობა. კომისიის დადგენილებით უმცროს მილიციონერს ჯამაგირად უნდა მიეცეს თვეში 150 მან., ხოლო უფროსს 175 მან. საკითხი მილიციონერების რიცხვის გადიდებისა ჯერ გადაუწყვეტელი რჩება.

◆ **რიგ-გარეშე ყიდვის მოსპობა.** აქამდის ყველა ჯარისკაცები რიგს გარეშე ჰყიდულობდნენ ყოველგვარ სურსათს, მაგალითად, პურს, ყველს, ერბოს და სხ. დღეიდან ჯარისკაცები ვალდებული არიან, რომ ყოველგვარი საქონელი იმ რიგათ აიღონ, როგორც დანარჩენი მცხოვრებნი ყიდულობენ.

◆ **დროს ზომა.** მკათათვის პირველიდან შემოღებული დროის გაზომვა ღვინობისთვის პირველიდანაც დარჩება.

◆ **ნიხრი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა ახალი ნიხრი დაამტკიცა, რომლის მიხედვით გირვანქა ძროხის ხორცი ფასობს 70 კაპ., კამეჩისა 60 კაპ., ცხვრისა 80 კ., ძროხის ენა 40 კ., თირკმელა (ერთი ცალი) 20 კაპ., ტვინი (წყვილი) 70 კაპ., ძროხის ქონი და დუმა გირვანქა 1 მ. 20 კაპ., ცხვრის ჯიგარი (მთელი) 1 მ., ძროხის ღვიძლი გირვანქა 5 კაპ., ელენთა 20 კაპ., გული 35 კაპ., თავის ხორცი უძვლოდ 40 კაპ., სუკი ნიხრის გარეშეა.

◆ **ნამალევი კალოშების აღმოჩენა.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ დიდძალი გადამალული კალოშები აღმოაჩინა ტერ-ანტონიანცის საწყობში.

◆ **მკვლელობა.** ენკენისთვის 17-ს ღამით, პეტროგრადის ქუჩაზე მილიციონერმა გიგოლაიშვილმა შეამჩნია საქონლიანი დროგი, მიხეილის პროსპექტისაკენ მიმავალი. მილიციონერმა დროგის გაჩერება მოინდომა, მაგრამ ის არ გაჩერდა. მაშინ მილიციონერმა რევოლვერი ესროლა მეეტლეს და იქვე მოჰკლა. მაგრამ წამოსროლილმა ტყვიამ მილიციონერიც იქვე განგმირა. დროგზე აღმოჩნდა ლიმონის სიმჟავე.

◆ **სათესლე ხორბალი.** თბილისის გუბერნიის სასურსათო გამგეობას ყოველი მხრიდან სათესლე ხორბალს სთხოვენ. სათესლეს თხოულობენ დასავლეთ საქართველოს ისეთ ადგილებიდანაც, სადა აქამდისინ პურს არავინ სთესავდა.

◆ **პეტროგრადში შესვლის უფლება.** უკანასკნელ კურსის სტუდენტებს, რომელთაც სწავლის დამთავრების მოწმობები აქვთ მისაღები პეტროგრადში შესვლის უფლება ეძლევათ. ყველა სხვა სტუდენტებს გამოცდების ჩაბარება სხვა ქალაქების უნივერსიტეტებშიც შეუძლიანთ.

◆ **ტყავეულობის აღწერა.** გუბერნიის სასურსათო გამგეობის განკარგულებით დაიწყო თბილისში ტყავეულობის და ფეხსაცმელების საწყობები. შემდგარია 7 საგანგებო კომისია, რომელთაც დავალებული აქვსთ აღწერონ ტყავეულობა, ფეხსაცმელები და კალოშები. ყოველგვარი ფეხსაცმელის სყიდვა შეიძლება მხოლოდ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის მიერ მიცემულ მოწმობით, მაგრამ ასეთი მოწმობის მისაღებად მთხოვნელმა უნდა წარადგინოს ან პურის და ანუ შაქრის მისაღები ბარათი. ფეხსაცმელების სასყიდლად უნდა შემუშავდეს ბარათები, როგორც არსებობს, მაგალითად, შაქრისა და პურის სასყიდლად. ბარათები უნდა შეადგინოს ქალაქის სასურსათო კომიტეტმა.

◆ **ტელეგრაფის სააგენტოს რეორგანიზაცია თბილისში.** პეტროგრადის ტელეგრაფის სააგენტოს დირექტორმა ბ-ნმა რაევსკიმ დეპეშით სთხოვა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს გამოსთქვას თავისი აზრი შესახებ სააგენტოს თბილისის განყოფილების რეორგანიზაციისა ისე, რომ განყოფილების მოქმედება აკმაყოფილებდეს ეხლანდელ წეს-წყობილებას და სანამდვილოთ გზავნოს ცნობანი კავკასიის ეროვნებათა და პოლიტიკურ პარტიათა ცხოვრებიდან. რაევსკი თხოულობს, რომ აღნიშნული იქმნას ნაკლოვანებანი თბილისის განყოფილების მოქმედებისა და ნაჩვენები ის ცვლილებანი და გაუმჯობესებანი, რომელთა მოხდენა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის აზრით საჭიროა.

◆ **ფართლეულობის აღწერა.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობის განკარგულებით ენკენისთვის 18-დან საგანგებო კომისია შეუდგა თბილისში ფართლეულობის აღწერას დიდი ფირმების საწყობებსა და მაღაზიებში.

საქართველოს საეკლესიო კრება

კათალიკოზის არჩევა

კვირას, 17 ენკენისთვეს, საგანგებო დღე იყო ჩვენთვის. ამ დღეს ამორჩეულ იქმნა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი. არჩევნები დაიწყო დილით, ათ საათზე გ. დ. **ჟურულის** თავმჯდომარეობით. არჩევა მოხდა სასტიკი კონტროლის ქვეშ. არც სიონის ტაძარში, არც მის გალავანში დელეგატების გარდა სხვას არავის უშვებდნენ. ფარული კენჭის ყრა დასრულდა საათის ორისთვის. შემდეგ ფართო მასას გაუღეს კარი. ქუჩა, ეზო და ტაძარი გაივსო ხალხით.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო სულ 440 დელეგატს. ყუთი დაედგა ორ კანდიდატს: მიტროპოლიტ ლეონიდეს და ეპ. კირიონს, თბილელ მიტროპოლიტს ლეონიდეს მიეღო 230 თეთრი და 218 შავი, ხოლო ყოვლად სამღვდელო კირიონს 240 თეთრი და 206 შავი. ამ რიგად ორთავე გათეთრებული იქმნა, მაგრამ რადგანაც ყოვლად სამღვდელო **კირიონმა** მიიღო თორმეტით მეტი ხმა, იგი აღიარებულ იქმნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად. ეს ამბავი დაუყოვნებლივ ეცნობათ მათს მეუფებათ როგორც ყოვლად სამღვდელო კირიონს, ისე ლეონიდეს. დამსწრე საზოგადოება ოვაციებით მიეგებოდა მათ. აგერ მოვიდნენ კიდეც. თბილელი მიტროპოლიტი ყოვლად სამღვდელო ლეონიდე. კარებში შეჩერდა და აქ მიულოცა ახლად არჩეულს მწყემსმთავარს საქართველოს კათალიკოს პატრიარქს, რომელსაც მეტად მგრძნობიერი სიტყვით მიჰმართა. მეო,—სთქვა მათმა მეუფებამ,—მიორკეცდება ძალღონე, რომ მარტოდ აღარ ვარ და მეგულებით ჩვენი ეკლესის უმაღლეს ხელმძღვანელად. ფიცსა ვდებ, მთელის ჩემის არსებით დაგეხმაროთ ტვირთის ზიდვაში, ჩვენი ეკლესიის საქმის გაძღოლაში. შემდეგ უსურვა დღეგრძელობა და შეევედრა ყველა ჩვენს წმინდანთ, რომ მისთვის მიენიჭებინა ძალა და ღონე ჩვენი ეკლესიის საქმეთა წასაძღოლად.

თბილელ მიტროპოლიტს საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა მოკლედ, მხურვალე ცრემლით განბანილი სიტყვით მადლობა გადაუხადა მას და შეჰფიცა როგორც ძველად, ეხლაც გაასკეცებულის ძალით ებრძოლა ჩვენი ეკლესიის საქმეთა დასაგვირგვინებლად.

შემდეგ სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს. შეიმოსა თვითონ კათალიკოზ-პატრიარქი კირიონი, თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე, ყოვლად სამღვდელო ანტონი, პიროსი, არქიმანდრიტი ამბროსი და სხვანი. სამღვდელოთა კრებულს და საზოგადოებას სიხარულით აუწყა კათალიკოზმა საქართველოს ეკლესიის აღდგენა და მუხლმოყრით თაყვანი სცა არჩევისათვის. მან გამოსთქვა ნაკისრებ ტვირთის სიმძიმე, რომლის განაწილებას შეთხოვდა ყველას.

პარაკლისის შემდეგ კერძო პირნი წარსდგნენ და ულოცავდნენ კათალიკოზს. ყველას ცრემლები მოჰგვარა გ. იოსელიანმა, რომელმაც მთრთოლვარე ხმით და ცრემლებით აღნიშნა ამ დღის სიდიადე, უსურვა კათალიკოსს დღეგრძელობა და შეჰფიცა: ამ ამბავს საფლავში ჩავიტან და ჩვენი ერისა და ეკლესიისთვის მებრძოლთ ვაუწყებ, რომ იმათმა ძვლებმაც განიხარონო.

შემდეგ კათალიკოზ-პატრიარქს მიესალმნენ აფხაზეთის წარმომადგენელი ბ-ნი ჩხოტუა, წარმომადგენელი ქართველ კათოლიკეთა და ქართველ ჯარისა.

მათმა უწმიდესობამ კათალიკოს-პატრიარქმა ყველას მოკლეთ უპასუხა.

შემდეგ მთელი კრებული თან გაჰყვა კათალიკოზს, და მიაცილა ბინამდე. სასახლის კართან მგრძნობიერე სიტყვით მიმართა მღ. **სიმონ ქელიძემ**, სიტყვები უთხრეს აგრეთვე სასახლეში. ამ კორტეჟს მეტად საზეიმო ხასიათი ჰქონდა და მარად დაუვიწყარი დარჩება მნახველის ხსოვნაში.

ქართლელი.

ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების კრება

კრება გაიხსნა ქართულ გიმნაზიის შენობაში ენკენისთვის 15-ს, საღამოს, ექ. გ. მაღალაშვილის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო 40-მდე წევრი. კრებას მოხსენდა აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება შესახებ ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა ჯამაგირების გადიდებისა. მომხსენებელი თხოულობს, რომ ცხოვრების გაძვირების გამო მასწავლებლების ჯამაგირი გადიდდეს საშუალო რიცხვით 65 პროცენტით, მაგრამ ჯამაგირების მომატება იწვევს დიდ ხარჯს, რომლის დასაფარავად აღმასრულებელ კომიტეტს საკმაო ფული არ მოეპოვება. ამიტომ კომიტეტი თხოულობს, რომ სწავლის ფული გადიდებულ იქმნას 70 მანეთიდან 150 მანეთამდე. კრებამ ჯამაგირების მომატება სამართლიანად სცნო, მაგრამ სწავლის ფულის მომატებამ დიდი კამათი გამოიწვია.

ხმები ორად გაიყო, ასე რომ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელი დარჩა. კრებამ აირჩია საგანგებო კომისია და იმას დაავალა როგორც მოსამატებელ ჯამაგირების რაოდენობა, აგრეთვე წყაროს გამონახვა. კომისიაში შედიან: აღმასრულებელი კომიტეტის მთელი შემადგენლობა, მშობელთა წრის 2 წარმომადგენელი და კრების მიერ არჩეულნი ვ. ბურჯანაძე, ა. ციმაკურიძე და ს. მაღალაშვილი. კომისიამ თავისი მოხსენება წარუდგინა კრებას ენკენისთვის 17-ს, საღამოს 7 საათზე.

ენკენისთვის 17-ს მოხდა კრების გაგრძელება, თავმჯდომარეობდა ექ. გ. მაღალაშვილი. კრებამ მოისმინა საგანგებო კომისიის მოხსენება შესახებ ჯამაგირების მომატებისა: ქართული გიმნაზიის მასწავლებლებს მიემატებათ ჯამაგირი 60—100 პროცენტამდე, ხოლო გიმნაზიის დაბალ მსახურებს 700—800 პროც.-მდე. ჯამაგირების მომატებით გიმნაზიას ახალი ხარჯი ემატება წლიურად 68.000 მან. ამ ხარჯის დასაფარავად კომისია ურჩევს კრებას, რომ სწავლის ფული გადიდდეს ვაჟთა გიმნაზიაში 70-დან 150 მანეთამდე, ხოლო ქალების გიმნაზიაში 50-დან 100 მანეთამდე, რაიცა გიმნაზიას შესძენს წლიურად 62.000 მანეთს. გარდა ამისა წერა-კითხვისა და საეთნოგრაფიო საზოგადოებებმა მუზეუმისათვის ბინის ქირად 8.000 მან. უნდა აძლიონ წლიურად. კომისიის მოხსენება კრებამ დაამტკიცა და დაიშალა. გამგე კომიტეტის წევრების არჩევნები ორი კვირით გადაიდო.

საერობო რეფორმა კავკასიაში

დროებითი მთავრობის განკარგულებით მარტში შინაგან სამინისტროსთან შესდგა საგანგებო თათბირი, რომელსაც დაევალა ადგილობრივ თვითმართველობათა შესახებ პროექტების შემუშავება. ამ თათბირმა თავის წრიდან გამოყო კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებია პროექტები ისეთი ადგილებისათვის, სადაც დღემდე არ იყო შემოღებული ერობა. კომისიის შემადგენლობა უნდა შევსებულიყო პოლიტიკური, ნაციონალური და ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებით. ვინაიდან ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღება საჩქარო საქმეთ სცნეს, სამინისტრომაც პირველად ამ საქმეს მოჰკიდა ხელი. ყოველ მხრივ საკითხის გარჩევა ზემოხსენებულ კომისიას მიენდო, სადაც მოწვეულ იქმნენ ამიერ-კავკასიის პოლიტიკური და ნაციონალური ორგანიზაციების წარმომადგენელნი, რომელნიც პეტროგრადში იყვნენ შეკრებილნი საგანგებო თათბირზე დამფუძნებელი კრების წესების შესამუშავებლად. ამათ გარდა სამინისტრომ სხვა მცოდნე პირებიც მიიწვია. კომისია მუშაობას შეუდგა 22 ივლისს, რაც ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს დეპეშით ეცნობა, უკეთუ კომიტეტი საჭიროდ დაინახავდა მონაწილეობა მიეღო მუშაობაში. მთელი რიგი კრებების შემდეგ გამომუშავებულ იქმნა მთავარი დებულებანი ერობისა ამიერ-კავკასიისათვის, რომელსაც დაუკავშირდა ერთი საკითხის მეტად მტკივანი ადგილი, რომელიც შეეხება ამიერ-კავკასიის გუბერნიების და მაზრების გადამიჯვნას, ვინაიდან ადგილობრივი პირობების გამო ამიერ-კავკასიის ერობის საკითხი რთული საქმეა, სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი გადაეცა განსახილველად ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს ადგილობრივ პირობათა მიხედვით და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად გადასამუშავებლად, უკეთუ კომიტეტი ამას საჭიროდ დაინახავდა. სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტის უმთავრესი დებულებანი ასეთია:

1. ადგილობრივი ცხოვრების საზოგადოებრივი ხასიათის საქმეები და მათი მართვა-გამგეობა ერობათა ხელში რჩება, რომელიც ამ სფეროში მოქმედობს დამოუკიდებლად.

2. ერობათა უფლება და მოვალეობა განისაზღვრება იმ წესებით, რომლის თანახმად შიდა გუბერნიებში არსებული ერობანი მოქმედებენ.

3. ეროვნული კომპეტენცია გაფართოებული იქნება ადგილობრივი პირობების მიხედვით (მაგ. წყლის საქმეთა გამგებლობა).

4. ერობა იქნება საგუბერნიო ან საოლქო, სამაზრო და სასოფლო.

5 საგუბერნიო და სამაზრო ერობანი არსდებიან ახალ ადმინისტრატიულ საზღვრებში. (იხ. საგანგებო აზრი ადმინისტრატიული გადამიჯვნის შესახებ).

6. წვრილ საერობო ერთეულს საფუძვლათ დაედება ერთი ეროვნებით დასახელებული ოლქი, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება. მცხოვრებთა რიცხვი უნდა აღწევდეს 10-დან 15 ათასამდე. სასურველია არსებული სოფლის საზოგადოებათა არ დაყოფა.

7. წვრილ საერობო ერთეულებათ ტერიტორიის დანაწილება და აგრეთვე სხვა წინასწარი მუშაობის მოსამზადებლათ მაზრაში ერობის შემოღების შესახებ—ყოველ მაზრაში სდგება საგანგებო კომისია. საკითხის საბოლოოთ გადაჭრა სასოფლო ერობათა შესახებ ენდობა მომავალ საერობო კრებებს.

8. ერობის არჩევნები ხდება პროპორციონალური ხმის მიცემის სისტემით, ხმის მიცემა უნდა მოხდეს წერილობით. ამ წესითვე ხდება არჩევნები სასოფლო ერობისა. იმ ადგილებში, სადაც მომთაბარე ხალხი ცხოვრობს, არჩევნები ხდება იმ ალაგას, სადაც ეს ხალხი არჩევნების დროს იქნება დაბინავებული.

9. რათა ერობის აღმასრულებელ ორგანოში უზრუნველყოფილ იქნას სხვა და სხვა საზოგადოებრივ, პოლიტიკური თუ ეროვნული ჯგუფების წარმომადგენლობა, დასაშვებია უმცირესობის სურვილის თანახმად, პროპორციონალური წარმომადგენლობა, უკეთუ ეს უმცირესობა ხუთ კაცზე ნაკლები არ არის.

10. ამიერ კავკასიის ყველა საგუბერნიო ქალაქები უნდა გამოყოფილ იქნან დამოუკიდებელ საერობო ერთეულებათ, რომელთაც მიენიჭება სამაზრო ერობათა უფლებანი. ყველა სამაზრო ქალაქები და აგრეთვე მაზრაში მდებარე ქალაქები, თუნდაც ამ უკანასკნელებში დიდძალი მცხოვრებნი ცხოვრობდენ, სამაზრო საერობო ერთეულებათ არ გამოიყოფებიან, ვინაიდან ასეთი საშუალებით შესაძლოა ამ ქალაქთა და მაზრის მცხოვრებთა შორის არსებული ეკონომიური და სამეურნეო კავშირი დაირღვეს.

11. ბაქოს სამრეწველო რაიონი დამოუკიდებელ საერობო ერთეულად არ გამოიყოფა და არც შეიძლება ქალაქ ბაქოს შეუერთდენ ეს რაიონები, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, კითხვა დაისმებოდა ამ რაიონში საქალაქო თვითმართველობის შემოღების შესახებ, რაიც ერობის შემოღების საქმეს გააჭიანურებდა. ამასთან, მუდმივი მიჯნის უქონლობა საწარმოვო რაიონებისა მაზრისაგან და მაზრის ფინანსიური ხელმოკლეობა საწარმოვო რაიონების გამოკლებით, გვიკარნახებს საწარმოვო რაიონების დამოუკიდებელ საერობო ერთეულებათ არ გამოყოფას.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიის საგუბერნიო და სამაზრო გადამიჯვნას, ამ საკითხის შესამუშავებლათ კომისიამ შეადგინა მცირე კომისია. სამინისტრომ საჭიროთ დაინახა კომისიის მუშაობით ესარგებლნა და საჩქარო წესით შეიმუშავა ასეთი გადამიჯვნის პროექტი და 25 ივლისს წარუგზავნა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს თავისი აზრის გამოსათქმელად.

ამ ჟამათ სამინისტრო ამუშავებს პროექტს, რომელიც შეეხება კავკასიაში წყლების საქმეს.

ამას გარდა, სახელმწიფო სახალხო განათლების კომიტეტში წინასწარ განსახილველად სამინისტრომ საკითხი აღძრა, რომელიც შეეხება ერობის შემოღებით გამოწვეულ საშკოლო საქმის ახალ ნიადაგზე დაყენებას და ახლად დაარსებულ საერობო დაწესებულებებში ადგილობრივი ენების ხმარებას.

ნ. დურნოვოს წერილი

თბილისელ მიტროპოლიტ ლეონიდის სახელობაზე, რომელიც მიიღეს 13 ენკენისთვეს

დიდად პატივცემულო მაღალ ყოვლად სამღვდელო მეუფევ და მწყემსთავარო!

დიდათ ვწუხვარ, რომ დღევანდელმა გარემოებამ ვერ შემაძლებინა დავსწრებოდი იმ ბრწყინვალე დღესასწაულს, რაზეც 40 წელია ვოცნებობდი და 8 ენკენისთვეში კი აღსრულდა! წამებული ივერიის სამოციქულო ეკლესია ამიერიდან გვერდში ამოუდგება სულიერ მოძმეს საბერძნეთის ეკლესიას. თუ ჯანმრთელობამ ნება დამრთო, ამ მოხუცებაში შევეცდები საქართველოში ამოვიდე ხოლმე, ვინაიდან დღემდე უძველეს სამართლმადიდებლო ქვეყნებში მხოლოდ საქართველო დამრჩა უნახავი.

აღდგენა ავტოკეფალიისა, რომელიც ანტიეკლესიურმა სინოდმა დაარღვია, საქართველოს ეკლესიას შეაძლებინებს ასი წლის ჭრილობა გაიმრთელოს და განანათლოს სამწყსო თვისი ჭეშმარიტ ქრისტეს სარწმუნოებით. და განა საქართველო მეცხრამეტე საუკუნემდე ერთი უქრისტიანესი ქვეყანა არ იყო?

ახლა საქართველოსა ჰმართებს ამ შეერთების შემდეგ აღიდგინოს პოლიტიკური ავტონომიაც, თანახმად 1783 წ. ხელშეკრულობისა. ქართველებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ მათი ქვეყანა ათეისტური კი არაა, არამედ მართლმადიდებელი, რომ მათი წინაპარნი მეხუთმეტე საუკუნის განმავლობაში ჰღვრიდნენ სისხლს სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის, და რომ დღესაც 200 ათასი ქართველი სისხლსა ჰღვრის რუსეთისათვის, ჰღვრის თავის სამშობლოსათვისაც და რუსეთის ერთა შორის ყველაზე მეტი უფლება აქვს მიიღოს თავისუფლება, ვინაიდან საქართველო დამორჩილებული კი არაა, არამედ ნებსით შეუერთდა. დღეს, როდესაც პოლონეთის დამოუკიდებლობა აღიარეს, საქართველოსაც უფლება აქვს მოაწყოს თავის მართველობა ისე, როგორც უმჯობესად და თავის ქვეყნის სასარგებლოდ დაინახავს. ჯეროა ქართველმა ხალხმა იგემოს სიტკბო მყუდრო ცხოვრებისა და კეთილდღეობისა. საკუთრება ხელშეუხებელი უნდა იყოს, ვინაიდან სასურველ შრომით მომავალში მშრომელი იგემებს ბედნიერებას. საქართველო უნდა განთავისუფლდეს ანარქისტ ექსპლოატატორებისაგან, ამასთანავე არა მართლმადიდებელთაგან. არც ერთს ხალხს რა გინდაც დიდი იყოს იგი, უფლება არა აქვს ხელი შეახოს საქართველოს ისტორიულს მიწა-წყალს, როგორც არც ერთს ეკლესიას უფლება არა აქვს თავისი საკურთხეველნი ააგოს საქართველოს ეკლესიის საზღვრებში.

გთხოვთ, თქვენო მეუფეავ, გადასცეთ უწმინდეს პატრიარქს და მთელს ქართველ იერარქებს ჩემი გულითადი მოლოცვა საქართველოს ეკლესიის უფლებათა აღდგენის გამო. ეს დღე უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში, რასაც აგერ 40 წელია მოველოდი. ვულოცავ ეკლესიის განთავისუფლებას თვით ერსაც. დაე, უწყოდეს, რომ ქრისტეს ჯვარს იგი მონობისაკენ კი არ მიჰყავს, არამედ თავისუფლებისკენ!

თქვენს წმინდა ლოცვებს ქვეშ შეკედლებული თქვენი ერთგული

ნ. დურნოვო

საქართველოს ტყეები და მათი მომავალი

თუ მართლა მდიდრები ვართ ტყეებით, მაშ რით აიხსნება ისეთი ხეტყის სიძვირე და შეშის შიმშილი, რომელიც საქართველოში ფეხს იდგამს?

ჩვენ აქ არ შევეხებით ისეთ მიზეზებს, როგორც შეშის და ერთობ ყველა საქონლის გაძვირებაა, რომელნიც უმაგალითო ომმა გამოიწვია. ჩვენი სურვილია გავშინჯოთ მხოლოდ ის უმთავრესი მიზეზი, რომელიც აგრე თუ გვიან უომოთაც გამოიწვევდა ჩვენში ხე-ტყის სიძვირეს. ეს მიზეზი ტყის ცუდი ექსპლოატაციაა. როგორც პროფესორი Gerdej ამბობს—ტყის რაოდენობა მაჩვენებელია ქვეყნის სიმდიდრისა, ტყის ხმარება კი ხალხის განათლებისა. სამწუხაროთ არ შეიძლება არ ვსთქვათ, რომ ეს სიტყვები ჩვენ შესახებაც ძალიან მართალია. ერთი მხრივ საქართველო მართლა მდიდარია ტყეებით, მეორეს მხრივ კი ჩვენს ქალაქებში ისეთი ხე-ტყის და შეშის სიძვირეა, რომელსაც ალაგი უნდა ჰქონდეს მხოლოდ უტყეო ქვეყნებში. თუმცა ჩვენ ქალაქებს ხშირად სამაგალითო მთიანი ტყეები ახვევია გარშემო, ამავე დროს საჭირო ხე-ტყე შორს რუსეთიდგან შემოჰქონდათ და შემოაქვთ. მიზეზი ასეთი უნუგეშო მდგომარეობისა ცუდი და მავნებელი ტყის მეურნეობაა. ის ტყეები, რომელთაც კარგი მისავალი გზები აქვთ და რომელნიც ახლო მდებარეობენ დიდ სოფლებთან, ან ქალაქებთან, ძალზედ დაჩეხილია: გატანილია ამ ტყეებიდგან ყოველივე, რასაც კი ცოტათ თუ ბევრათ ფასი აქვს. ეს ტყეები არამც თუ უკვე გაკაფილია, ზოგან ამოვარდნილიც კია კაცისა და საქონლისაგან. ამისთანა ადგილები უსარგებლოდ დარჩებიან დიდხანს, რადგანაც აქ მოკორტნილი ჯაგების მეტს ვერას ჰნახავთ: უნდა გაიაროს რამდენიმე ათეულმა წელმა, რომ გამოსადეგი ტყე გაიზარდოს. ამავე დროს, მოშორებით ისეთი დაბურული და მასთან ს მაგალითო ტყეებია აწეწილი, როგორსაც იშვიათად თუ სადმე სხვაგან შეხვდებით. ეს ტყეები, თუმცა ქალაქებში ხე-ტყის უშოვრობაა, ამაოდ უცდიან ექსპლოატაციას. აქ რომ ტყის სწორი ექსპლოატაცია დავიწყოთ, დავაკმაყოფილებთ არამც თუ ადგილობრივ საჭიროებას, არამედ შევძლებთ ბევრს საშენებელ მასალის გატანასაც საქართველოს გარეშე. ამისათვის საჭიროა დავიახლოვოთ ეს ტყეები: გავიყვანოთ გზები, დავარღმავოთ და მოვაწყოთ მდინარეები ტყის გადასატანად, შემოვიღოთ სხვა და სხვა ხე-ტყის ჩამომზიდველი მანქანები მიუვალ მთებიდგანა და სხვა. ამით მივცემთ დიდ შეღავათს ახლომახლო ტყეებს და მასთან უპატრონებთ იმ ხე-ტყეს, რომელიც აქამდისინ სრულიად უსარგებლოდ იღრღნება და ლპება მწერისა და სოკოებისაგან.

თუ ჩვენ ამ ტყეებს მიუდგებით და თან საჭირო კაპიტალს მივაშველებთ, მაშინ ჩვენ ტყეებს დაუწყებთ ჭრას იქ, სადაც საჭირო იქმნება სამეურნეო გეგმით და არა იქ, სადაც მოხვდება.

რამდენად ჩვენი ტყის ექსპლოატაცია დაბლა სდგას ამას დავინახავთ იმ შემოსავლიდან, რომელსაც სახელმწიფო ტყეები იძლევიან. როგორც სატყეო დეპარტამენტის ცნობებიდან სჩანს (Ежегодникъ лѣсного Департамента за 1913 г.) საქართველოში სახელმწიფო ტყეებს შემდეგი შემოსავალი მიუციათ:

	გასასყიდათ დანიშნული ყოფილა		ნამდვილად კი გაყიდულა.	
თბილისის გუბერნ.	170.959 კუბ. საჟ.	დაფასებული 587.911 მან.	19.317 კუბ. საჟ.	126.371 მან.
ქუთაისის „	143.783 „ „	„ 833.203 „	8.666 „	65.914 „
ბათუმის მხარეს	68.955 „ „	„ 434.314 „	25.948 „	129.205 „
სოხუმის ოლქში	18.339 „ „	„ 197.356 „	403 „	25.086 „
ზაქათალის „	67.737 „ „	„ 273.993 „	2.860 „	8.050 „
სულ	469.773 „ „	„ 2.326.777 „	57.194 „	354.626 „

გაყიდულა მხოლოდ 15°/₀, დანარჩენ 85 % ხე-ტყეს მუშტარი არ გამოსჩენია. ამისი უმთავრესი მიზეზი ჩვენი ტყეების მიუსავლობაა, რის გამოც ხე-ტყის გამოტანა იმდენათ ძვირათ ჯდება, რომ ვერ ამართლებს ხარჯებს. რომ გავანაწილოთ ტყიან (1.153.345 დეს.) ადგილზედ გაყიდული ხე-ტყე, დავინახავთ, რომ თითო დესეტინა ტყიდგან დანიშნული იყო 89 კუბ. ფუტი, რაც გაცილებით ნაკლებია იმაზედ, რამდენიც ყოველ წლივ დესეტინა ტყეს ემატება, ნამდვილად კი გაყიდულა გაცილებით ნაკლები—10 კუბიკ. ფუტზედ ცოტა მეტი. როგორც ვიცით, დესეტინაზედ ყოველ წლიური შემატება 150—180 კუბიკ. ფუტს უდრის, მაშასადამე ჩვენ ტყეებიდგან გაგვაქვს 15 ჯერ იმაზედ ნაკლები, რისაც გატანა შეიძლება. ასეთ უნუგეშო მდგომარეობაშია ჩვენი ტყის მეურნეობა. ამით აიხსნება, რომ სახელმწიფო ტყეები საქართველოში იძლევიან ძალიან ცოტა შემოსავალს, რომელიც ზოგჯერ ვერც კი ფარავს ხარჯებს:

სახელმწიფო ტყის რაოდენობა		1913 წლის შემოსავალი	შემოსავალი დესეტინა ტყეზედ	გასავალი 1913 წლისა	გასავალი დესეტინა ტყეზედ
თბილისის გუბერნიაში	463.289 დეს.	197.840 მ.	43 კაპ.	173.185 მ.	37 კაპ.
ქუთაისის „	181.127 „	68.849 „	38 „	82.691 „	45 „
ბათუმის მხარეში	256.660 „	62.613 „	24 „	34.195 „	13 „
სოხუმის ოლქში	166.744 „	39.555 „	24 „	21.937 „	13 „
ზაქათალის „	85.525 „	3.403 „	4 „	7.357 „	8 „
	1.153 345 დეს.	372.251 მ.	27 კ.	319.365 მ.	23 კ.

აქ ჩვენ ვხედავთ როგორც მეტისმეტ მცირე შემოსავალს, ისევე ცოტა გასავალსაც: დესეტინა ტყე 27 კაპ. იძლევა, ხარჯიც ერთობ მცირეა—უდრის თითქმის გასავალს—(ოცდა სამ კაპ.

რომ ადვილად დავინახოთ რამდენად ჩვენი ტყის ექსპლოატაცია უნუგეშო მდგომარეობაშია, შევადაროთ საქართველოს სახაზინო ტყის შესავალ-გასავალი პრუსიის სატყეო ბიუჯეტს. პრუსიას 2.369.150 დეს. ტყიდან 1910 წელს შემოსავალი 63.147.500 მან. ქონდა, გასავალი კი —32.251.000 მან. რაოდენობით პრუსიის ტყეები საქართველოს ტყეებზედ ნაკლებია, საქართველოს ხაზინის ტყეებზედ კი ორჯელ მეტია. როგორც ზემო მოყვანილ ციფრებისაგან სჩანს, შემოსავალი პრუსიას 140-ჯერ მეტი ჰქონია, ვიდრე ხაზინას საქართველოს ტყეებიდგან: იმ დროს, როცა ჩვენ ტყეებს დესეტინაზედ 27 კაპ. შემოსავალი ძლივს აქვს, პრუსიის ტყე იმავე დესეტინაზედ 27 მან. მეტს იძლევა.

საინტერესოა მივაქციოთ ყურადღება გასავალსაც. თუმცა პრუსიაში მშვენიერი და მრავალი გზა-ტკეცილებია, თუმცა ამ ქვეყნის ტყეები ძალზედ მდიდარია სხვა და სხვა საექსპლოატაციო მანქანებით და იარაღებით, მაინც ყოველ წლივ პრუსიას თითო დესეტინაზედ 13 მანეთზე მეტი ეხარჯება. პრუსია ხარჯს არ ერიდება, ამით აიხსნება, სხვათა შორის, მისი ტყეების დიდი შემოსავალიც.

პირველი ნაბიჯი, რომელიც ჩვენ უნდა გადავდგათ, რომ დავიახლოვოთ მომავალში მაინც სასურველი ტყის ექსპლოატაცია, ეს ჩვენი ტყეების გამოკვლევა უნდა იყოს. აუცილებელი საჭიროა ვიცოდეთ სად, რამდენი და რა ღირსების ტყეები გვაქვს. როცა ჩვენ უცოდინარობას ბოლო მოეღება, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სწორსატყეო გეგმის შედგენა და მერე მისი შესრულება.

რაც შეეხება საქართველოს ტყეების ბოტანიკურ მხარეს, ე. ი. რა ჯიშის ხეებისგან შესდგებიან ჩვენი ტყეები, შედარებით უფრო გამოკვლეულია. როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ტყიანი ადგილის მესამედი წიფელას უჭირავს.

რა ღირსებისაა წიფლის ტყე? წიფელი, თუ თავდაპირველად ხშირ ტყეში სდგას, იზრდება სწორ და მაღალ 35—50 არშინიან ხეთ, რომელსაც ტოტები მხოლოდ ზემოდ შერჩება ხოლმე. ამ შემთხვევაში წიფელი იძლევა ცილინდრისავით თანასწორ მსხვილ და გრძელ 20—30 არშინიან მორს. აქამდისინ ჩვენში წიფელს უმთავრესად შეშად ხმარობდენ. იმ შემთხვევაში კი, სადაც ფიჭვის ან სოჭის მასალა ხელთ არ არის, იქ წიფელი საშენებელ მასალად ითვლება. შედარებით მცირე გასავალი აქვს წიფელს, როგორც სადურგლო მასალას, რადგანაც წიფლის ფიცარი მზე-წვიმაში და ნამში იღუნება, სქდება და მალეც ლპება. ერთობ წიფლის ხე-ტყეს ჩვენში გაცილებით ნაკლები ფასი აქვს, ვიდრე მუხისას. მართალია წიფელი გამძლეობით სრულიად შესადარებელი არ არის მუხასთან მაინც, როგორც მაგარი და ლამაზი ხის გულიანი, იგი საზღვარ გარედ და თვით დასავლეთ რუსეთშიაც თითქმის იმ ნიხრშივე იყიდება, როგორც მუხა. ჩვენში სწუნობენ, იქ კი წიფელი უკეთეს სადურგლო მასალათ ითვლება; მისგან აკეთებენ ერბოს ბოჩკებს, ვენურ სკამებს, ხის ჭურჭელს და სხ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ წიფელსაც მომავალში, როცა ვისწავლით მის ხმარებას, დიდი ფასი დაედება.

მუხა საქართველოში წიფელზედ ნაკლებ არის გავრცელებული—მას 15—16 პროც. უჭირავს. რადგანაც მუხის ტყეები უფრო მისადგომ მთის კალთებზედ, ან ბარშია გავრცელებული და რადგანაც მუხა ჩვენში გაცილებით ძვირად ფასობს, ვიდრე წიფელი, ამიტომ მუხიანი ტყეები უფრო დაზარალებულია უგუნურ ექსპლოატაციით, მინამდისინ წიფლისა.

ხ. ქურდიანი.

(შემდეგი იქნება)

კორესპონდენცია

ქართლიდან

ხოფ. რუისი. დღეს უნდა ითქვას, რომ ჩვენ ქალებს ზედმიწევნით შეუგნიათ სოფლის სიბეჩავე და მისი საჭიროება; მან ღრმად შეიგნო უპატრონო სოფლის სულის კვეთება ვაივარამი, რომელიც შველას ითხოვს და მისთვის კი თითქოს არავისა სცალიან. ქალის სათუთმა გულმა იგრძნო მშობლიური ტანჯვა-წამება, მის სულის იარას ჰსურს მოსცხოს რამე მალამო, განკურნოს და ჯანსაღი სული შთაბეროს სიცოცხლისა.

ეს ზაფხული უქმათ არ ჩაატარეს ს. რუისის მანდილოსანთაც, და კეთილად მოიხმარეს დრო. დიდი მოვალეობა კისერს იდვეს, დაარსეს „ქალთა საზოგადოება“ რომელმაც მიზნათ დაისახა სოფლის ხალხთა შორის კულტურული ცოდნა-განვითარების შეტანა და ეკონომიურის მხრივ პრაქტიკული მუშაობა.

პირველი ნაბიჯი „საზოგადოებამ“ საფეიქრო სასწავლებლის დაარსებით გადადგა, რომლის საჭიროებასაც ხალხი დიდი თანაგრძნობითა და ხალისით შეეგება. აღსანიშნავია ის წუთები როცა პაწია ბავშვებმაც კი თავიანთ გამართულ წარმოდგენიდან შეგროვილი 10 მან. სიხარულითა და თანაგრძნობით გადასცა. ასეთმა უმანკო სულით მოძღვნილმა მცირედმა რამ დიდი სიამოვნება-აღფრთოვანება გამოიწვია საზოგადოებისა და საიმედო მომავალი განსჭვრიტა.

საქმე ენერგიულად მიდის წინ, შეძენილია საქსოვი მანქანები და მასალა, სასწავლებლის გახსნა-კურთხევა ამ თვის ბოლო რიცხვებშია დანიშნული, რომელსაც ხალხი დიდის სიხარულით ეგებება.

შინაური.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გიგზავნით 170 მანეთს. შევაგროვე სოფ. წყნეთში სამხედრო გზათა მშენებლ. მართველობის ქართველ მოსამსახურეთა და მოიჯარადრეთა შორის. ჩემის მხრით მადლობას ვწირავ კოტე დავითაიას, რომელიც დამეხმარა ამ ფულის შეგროვებაში. შემომწირველთა სია:

ქართულ თეატრის სასარგებლოდ

აკაკი მაკაცარია 2 მ., სტეფ. მამინაიშვილი 10 მ., არისტარხო ვადაჭკორია 3 მ., მიხაკო დოლიძე 3 მან., დათიკო დოლიძე 5 მ., კოტე დავითაია 17 მ., ლევან ზენაიშვილი 5 მ., შალვა მურვანიძე 5 მ., ოსმალი ისაკ მოლდასანი 5 მ., ფ. კილასონია 5 მ., ილიკო ჯორბენაძე 5 მან., სოლომონ ხარებავა 5 მ., ვლ. ტატიშვილი 3 მ. სულ—73 მ.

ვაჟას სახელობის აგარაკის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად

აკაკი მაკაცარია 2 მ., სტ. მამინაიშვილი 10 მ., არისტარხო ვადაჭკორია 2 მ., მიხა დოლიძე 5 მ., დათიკო დოლიძე 7 მ., კოტე დავითაია 24 მ., ლევან ზენაიშვილი 10 მ., შალვა მურვანიძე 10 მ., ფ. კილასონია 5 მან., ილიკო ჯორბენაძე 5 მან., სოლომონ ხარებავა 5 მ., ვლ. ტატიშვილი 5 მ., არჩილ მიქელაძე 2 მან. სულ—97 მ.

ხანდრო ბაქრაძე.

რედაქტორი **ზაქარია ჭიჭინაძე.**

კალენდარი

სამშაბათი ენკენისთვის

19

ქართ. წმ. მოწ. ტროფიმე, სავვატი და დორიმედონტი.
კათოლ. იანვრისა.
სომეხ. დღესასწაული ეკლესიისა.
მაჰმად. სე-შამბე 15 რიც. ზულჰიჯა 1335 წ. ჰიჯრისა.
ებრაელ. იომშენი 16 რ. თიშრისა 5678 წ. ქვ. შექმ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია ადგილობრივი)

თბილისიდან გადის:

ბათუმისაკენ	საფ.	№ 5,	11.32	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.28	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	8, 17	დილ.
„	„	№ 17,	8.19	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.46	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	12.15	საღ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	8.38	დილ.
„	საფ.	№ 4,	7.41	საღ.
ბაქ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.27	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	9.50	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 8,	10.26	დილ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.20	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 8***,	7.53	დილ.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
კომერციულ ცოდნათა
კურსები
ტ. მ. ფილოიანისა
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).
თხოვნების მიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.
თ—734—22

საავადმყოფო
სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:
დიდი ვანქის ქუჩა № 8. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 481.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.
ბელაძე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეგნაძე—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. —2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 ათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 ათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და სიფილის ყოველ-დღე 3—8 საათამდე.
ბოხუჩიანი—ქალთა და სიფილის ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტრაიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.
100—667—66

სტამბა „ცხოვრება“ ასლან კალანდაძისა გაზაფხულის შესახვევი № 4
გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“